დევან ჯიქია

1924 წლის

ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ისტორიოგრაფია

საქართველოს ეროვნული არქივი

ლევან ჯიქია

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ისტორიოგრაფია

სტამბა „ფავორიტი“
თბილისი 2024

საქართველოს
ეროვნული
არქივი

წიგნში განხილულია 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების შეფასება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ქართულ ემიგრანტულ ისტორიოგრაფიაში, დასავლურ ისტორიოგრაფიასა და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

იუსტიციის
სამინისტრო

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ISBN 978-9941-8-6355-4

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ეძღვნება 1924 წლის ანტისაბჭოთა
ეროვნულ აჯანყებაში მონაწილე
მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას!

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

წინათქმა

2024 წელს 100 წელი სრულდება 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყებიდან. აჯანყებამ, სამწუხაროდ, დასახულ მიზანს ვერ მიაღწია - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დიდი ხნით გადაიდო.

1924 წლის 3 სექტემბერს მცხეთის მილიციის ცხენოსანმა პატრულმა, ვ. არჯევანიძის მეთაურობით შიომღვიმის მონასტერთან ახლოს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარე კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი და მდივანი იასონ ჯავახიშვილი დააპატიმრა. მალევე დააპატიმრეს დამკომის წევრები მიხეილ ბოჭორიშვილი, გიორგი ჯინორია და მიხეილ იშხნელი. ისინი ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საპყრობილეში მოათავსეს.

4 სექტემბერს კონსტანტინე ანდრონიკაშვილი პირადად ლავრენტი ბერიამ დაკითხა. დამკომის წევრებმა მუქარის ქვეშ ხელი მოაწერეს განცხადებას დამკომის დაშლის შესახებ.[1] ამასთან დაკავშირებით კონსტანტინე ანდრონიკაშვილი სასამართლო პროცესზე აცხადებდა:

„ჩემ საკანში შემოვიდა ზაკჩეკას თავმჯდომარე მოგილევსკი, მან მომცა წინადადება გამეკეთებინა განცხადება, რომ საქართველოს ს-დ პარტიამ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ მოაწყო ავანტიურა და ამ ავანტიურაში ჩააბა ხალხი... ჩეკამ... მოგვთხოვა შეგვეტანა ორი დებულება. აგვისტოს გამოსვლები მოგვენათლა ავანტიურად და ამ ავანტიურაში მონაწილეთ გამოგვეცხადებინა ერის ზედაფენები“.[2]

დამკომის განცხადება 6 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა. დამკომის წევრებმა აჯანყება „ავანტიურად“ მონათლეს და მას შეცდომა უწოდეს. მათ განცხადებაში აღნიშნული იყო: „აღიარებს რა თავის შეცდომას ამ გამოსვლის მოწყობით დამოუკიდებლობის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან შეიარაღებულ ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება დამღუპველი და სავსებით უპერსპექტივო ქართველი ერისათვის“... [3]

---

[1] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 369.
[2] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 512-513.
[3] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, N203, 6 სექტემბერი, გვ. 1.

საქართველოს ეროვნული არქივი

დამკომის წევრებმა მოუწოდეს ტყეში გახიზნულ აჯანყებულებს დაეყარათ იარაღი და შერიგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.[4]

კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა საპყრობილიდან თანამებრძოლების მისამართით წერილი გააგზავნა, რომელშიც უხსნიდა მათ, თუ რა მიზეზით მოაწერა ხელი დეკლარაციას, მაგრამ წერილმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია, ის საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში.[5]

კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა სასამართლო პროცესზე განმარტა, თუ რატომ მოაწერა ხელი დამკომის საჩოთირო განცხადებას:

„მძიმე იყო ჩვენთვის ამ დებულების მიღება! ამით მარტო ჩვენი თავისთვის გამოგვქონდა პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი; მეორე - ილახებოდა თვით მოძრაობა; მესამე - კომუნისტები ფართოდ გამოიყენებდნენ თავის სასარგებლოდ და კიდევაც გამოიყენეს... ჩვენ ვარჩიეთ „ავანტიურა“ და „ერის ზედაფენების“ სიტყვების ფასად გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა, მითუმეტეს, ყოველი ქართველი, რომელიც შეგნებულად მიუდგებოდა შექმნილ მდგომარეობას, კარგად მიხვდებოდა, საქმე რაში იყო და ამასთან, სიტყვები: „ავანტიურა“ და „ზედაფენები“ არსებითად სრულიადაც არ სცვლიდა და არ უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მასიურ მნიშვნელობას“.[6]

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ისარგებლა აჯანყების მარცხით და დაიწყო მოწინაღმდეგეების მიმართ უპრეცენდენტო და სისხლიანი ანგარიშსწორება. პოლიტიკურმა რეპრესიებმა ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ გარკვეული უხერხულობა თვით პირსისხლიან ბოლშევიკებსაც კი შეუქმნა.

საქართველოში განხორციელებული უსასტიკესი პოლიტიკური რეპრესიების მიმართ მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესი დიდი იყო. ამიტომაც, საბჭოთა ხელისუფლებამ მძლავრი საინფორმაციო კამპანია წამოიწყო, სადაც გაყალბებული იყო აჯანყების მიზეზები და მიზანი.

საბჭოთა პერიოდში 1924 წლის აჯანყება ტაბუდადებულ თემათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ქართველი ისტორიკოსები ამ საკითხს გვერდს უვლიდნენ, ან თუ წერდნენ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში.

თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებში 1924 წლის აჯანყება ერთ-ერთ პოპულარულ თემად იქცა (ასევე ბოლო დროს ამ მოვლენის მიმართ შეინიშნება უცხოელი მეცნიერების გარკვეული ინტერესიც). შესაბამისად, ამ მოვლენის შესასწავლად არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიღებული რეზოლუციები და გამოცემული ნაშრომები, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეუქ-

[4] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, N203, 6 სექტემბერი, გვ. 1.
[5] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 369.
[6] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 513.

საქართველოს ეროვნული არქივი

მნის საკითხით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას ამ მოვლენასთან დაკავშირებით განვითარებულ პროცესებზე.

***

1992 წლის 25 მაისს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა დეკრეტს „1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებულ პირთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის შესახებ“. დეკრეტში აღნიშნულია:

„რეაბილიტირებულად ჩაითვალოს 1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებული ყველა მოქალაქე“.[7]

[7] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 767, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა ისტორიოგრაფია

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების მარცხის შემდეგ დღის წესრიგში მომხდარის გაანალიზებისა და შეფასების საკითხი დადგა. ამ მხრივ პირველი სიტყვა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებმა თქვეს. ამით 1924 წლის აჯანყების ისტორიის გაყალბებაც დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების ლიდერებმა (იოსებ სტალინმა, ლევ ტროცკიმ, სერგო ორჯონიკიძემ, ფილიპე მახარაძემ, მიხა ცხაკაიამ, მიხეილ კახიანმა, ლევან ღოღობერიძემ, ალექსანდრე გეგეჭკორმა, ლავრენტი ბერიამ და სხვებმა) 1924 წლის აჯანყება იმთავითვე შემდეგი გამოთქმებით შეაფასეს: „ავანტურა“, „კონტრრევოლუცია“, „ზედა ფენების ამბოხება“, „უაზრო და სულელური ავანტურა“, „უაზრო სისხლისღვრა“, „ბანდიტური გამოსვლები“, „მენშევიკების ავანტურა“ და სხვა.

ცხადია, ზემოთ აღნიშნული ტერმინები უმალვე აიტაცეს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების რიგითმა მუშაკებმა (რომელთა უმეტესობას ხეირიანი სწავლა-განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული) და ერთმანეთის მიყოლებით პრესაში აჯანყების მათეული შეფასებები გამოაქვეყნეს, როგორც წესი, შაბლონად ტერმინი „ავანტიურა“ იყო გამოყენებული.

როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრებმა მუქარის ქვეშ ხელი მოაწერეს მიმართვას, რომელშიც აჯანყება „ავანტიურად“ იყო შეფასებული. ცხადია, მიმართვის ტექსტში ტერმინი „ავანტიურა“ საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით ჩაიწერა. ტექსტში ვკითხულობთ:

„ჩვენი გამოსვლა ფაქტიურად გადაიქცა ჩვენდაუნებურ ავანტიურად, რასაც ბუნებრივად მოჰყვა რეპრესიები, რის პასუხისმგებლობაც სავსებით ჩვენ გვედება. აღიარებს რა თავის შეცდომას ამ გამოსვლის მოწყობით დამოუკიდებლობის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეიდან შეიარაღებული ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება დამღუპველი და სავსებით უპერსპექტივო ქართველი ერისთვის...“.[8]

დამკომის წევრების აღნიშნული განცხადება საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა საპროპაგანდოდ კარგად გამოიყენეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ოფიციალური პერიოდული ორგანოების ფურცლებზე შემდეგი სახის მუქარები გაისმოდა: „აღვგავოთ პირისაგან მიწისა!“, „ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს!“, „შებრალება არ იქნება!“, „სიკვდილი მენშევიკებს!“, „მენშევიკები უნდა დავასამაროთ!“,[9] „ქვა-ქვაზე

[8] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, N203, 6 სექტემბერი, გვ. 1.
[9] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №202, 5 სექტემბერი, გვ. 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

დაედუღება, სიკვდილის ცელი აღიმართება ყველა იმ შავ-ბნელ ძალების წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შებღალვას!“.[10]

საბჭოთა ხელისუფლების პროვოცირებით საქართველოს სხვადასხვა ადგილებში იკრიბებოდნენ მუშები და მოითხოვდნენ აჯანყების მონაწილეების სიკვდილით დასჯას.[11]

1924 წლის 31 აგვისტოს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტომ ევროპის პრესას ამცნო, რომ საქართველოში აჯანყება მოახდინა „კონტრ-რევოლიუციონური მიზნით, მცირერიცხოვან ბანდამ, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ ძველი ოფიცრების, თავადების და მსხვილ ვაჭრებისაგანო. ყველა მეთაურები დაიჭირეს და ეს აჯანყება თვით მცხოვრებთა მიერ საჩქაროდ იქნა ჩაქრობილიო“.[12]

1924 წლის 2 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა, რომელშიც შედიოდნენ: ვ. მოლოტოვი, ი. ზელენსკი, ს. ორჯონიკიძე, ე. კვირინგი და დ. მანუილსკი. კომისიის ობიექტურობა იმთავითვე კითხვის ნიშნებს ბადებდა, რადგან სერგო ორჯონიკიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში.

1925 წელს გამოიცა **ე. კვირინგის** მცირე მოცულობის ბროშურა, რომელიც ავტორის სუბიექტურ და მიკერძოებულ შეფასებებთან ერთად საგულისხმო მომენტებსაც შეიცავს. კერძოდ, ე. კვირინგი იძულებული იყო ეღიარებინა გლეხობის „მცირე“ ნაწილის მონაწილეობა აჯანყებაში, რომლის მიზეზად ავტორს შემდეგი გარემოებები მიაჩნდა:

1) აბრეშუმის პარკის და მატყლის შესყიდვას ახორციელებდნენ კოოპერატივები, რომლებიც მასზე მონოპოლიურ ფასს აწესებდნენ (ორჯერ ნაკლები ომამდელ ფასთან შედარებით). იყო შემთხვევები, როდესაც კოოპერატივებმა მილიციაში უჩივლეს გლეხებს ნაწარმის თვითნებურად გაყიდვის გამო, ხოლო მილიციამ კი გლეხებს ნაწარმი მთლიანად ჩამოართვა; 2) გურიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დიდი გასავალი ჰქონდა სიმინდს, რადგან რუსეთიდან ხორბალი არ შემოდიოდა. ახლა კი პურის ჭარბად არსებობის პირობებში სიმინდი არავის სჭირდება. გარდა

[10] სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს „მოამბე“, 1924, №8, აგვისტო, გვ. 2-7.
[11] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №202, 5 სექტემბერი, გვ. 1.
[12] კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბილისი, 1991, გვ. 41-42.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამისა შეწყდა სიმინდის საზღვარგარეთ ექსპორტირება; 3) ფასები მანუფაქტურულ ნაწარმზე არის ძალიან მაღალი, ხოლო გლეხურ ნაწარმზე პირიქით – ძალიან დაბალი; 4) ადგილებზე პასუხისმგებელ თანამდებობებზე მხოლოდ კომუნისტური პარტიის წევრები ინიშნებიან, ხოლო უპარტიოები კი არა; 5) სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული რელიგიის სფეროში. საქართველოს ზოგიერთ მაზრაში არცერთი ეკლესია არ დარჩა და გლეხებს მეზობელი მაზრების ეკლესიებში უხდებოდათ სიარული. ჩვენი ქართველი ამხანაგები გვარწმუნებდნენ, რომ ქართველ გლეხს ღმერთის არ სწამს და მას ეკლესია არ სჭირდება და თვით გლეხები ხურავენ ეკლესიებს. თუმცა დღეს გამოჩნდა, რომ ეს ასე ნამდვილად არ არის. მოხდა ეკლესიებთან არსებული საფლავების ხელყოფა, რომელზეც ჩვენი ამხანაგები პარკების გაშენებას აპირებდნენ.[13]

ე. კვირინგის ნაშრომში ვხვდებით ცალკეულ ფაქტოლოგიურ შეცდომებსაც, მაგალითად, ის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველ თავმჯდომარედ სეით დევდარიანს ასახელებს[14], რაც რეალობას არ შეესაბამება. როგორც ვიცით, ამ ორგანოს პირველი თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი გიორგი (გოგიტა) ფაღავა იყო.

ე. კვირინგი აცხადებს, რომ აჯანყებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში კი მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა[15], რაც, ცხადია, საფუძველს მოკლებულია. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყებას ისეთი მასიური ხასიათი არ მიუღია, როგორც დასავლეთ საქართველოში, თუმცა აქ მთელ რიგ ადგილებში აჯანყებამ იფეთქა (ამის საილუსტრაციოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილის დასახელებაც კმარა).

ე. კვირინგი აცხადებს, რომ აჯანყების შემდეგ საქართველოს წინაშე თავადაზნაურობის განკულაკების საკითხი დადგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხები წაართმევდნენ მათ მიწებს, სახლებს, ავეჯსა და ა. შ. ამის შედეგად კი საქართველოში ყოველგვარი თავად-აზნაურული ბანდიტიზმი მოისპობოდა - იმედს გამოთქვამდა კვირინგი.[16]

ნაშრომის ბოლო თავში ე. კვირინგი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ქართული აჯანყებიდან ჩვენ გაკვეთილები უნდა ვისწავლოთ, რათა ქართული მოვლენა სხვაგანაც არ განმეორდეს“.[17]

ერთი შეხედვით ე. კვირინგის დასკვნები თითქოს ობიექტურობის რაღაც დოზას შეიცავს და გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, სინამდვილეში საქმე გვაქვს ძალიან კარგად შენიღბულ და მზაკვრულ მიზანთან. ბროშურის ავტორს

[13] Е. Квиринг, Уроки Грузинского восстания, Харъков, 1925, стр. 25-36.
[14] Е. Квиринг, Уроки Грузинского восстания, Харъков, 1925, стр. 7.
[15] Е. Квиринг, Уроки Грузинского восстания, Харъков, 1925, стр. 23.
[16] Е. Квиринг, Уроки Грузинского восстания, Харъков, 1925, стр. 24.
[17] Е. Квиринг, Уроки Грузинского восстания, Харъков, 1925, стр. 34.

საქართველოს ეროვნული არქივი

სურს მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ აჯანყება სოციალურ და რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენდა და მისი მიზანი არ ყოფილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (ის მხოლოდ გაკვრით ეხება აჯანყებულთა ლოზუნგს). ყოველ შემთხვევაში ე. კვირინგი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ გლეხობის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ ყოფილა.

1924 წლის აჯანყების მიზეზების შემსწავლელი კომისიის მიერ სათანადო დასკვნის წარდგენის შემდეგ „რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაჭრით დაავალა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას გაეუმჯობესებინა პოლიტიკური მუშაობა, გაეფართოებინა სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, მიეღწია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის. პლენუმმა დაავალა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მიეღოთ ღონისძიებანი გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოეწყოთ უმოკლეს ვადაში სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. გადაწყდა აეშენებინათ მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები ადგილობრივი ნედლეულის გადასამუშავებლად... დაისახა ღონისძიებანი ანტირელიგიურ პროპაგანდაში დაშვებული სერიოზული შეცდომისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად“.[18]

1924 წლის 7 ოქტომბერს მოსკოვიდან ბათუმში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები ივანე შაკუროვი, სერგეი სტარუხინი და ანტონ გევორქოვი ჩავიდნენ. მათ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, იოსებ სტალინის სახელზე ვრცელი მოხსენებითი ბარათი შეადგინეს „აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე მომენტის“ შესახებ.

დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ აჭარაში მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ ქართველები ინიშნებოდნენ, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებში ვერ ერკვეოდნენ და უხეში ადმინისტრირებით მოსახლეობის მორჩილებაში მოყვანას ცდილობდნენ. მოხსენების ავტორების თქმით, „ქართველები“ „აჭარლებს“ ზევიდან უყურებდნენ და მათ თავმოყვარეობას არაფრად აგდებდნენ. ამიტომაც, მათი აზრით, საჭირო იყო მოსკოვს მეტი კონტროლი დაემყარებინა აჭარაში.[19]

1924 წლის 5 სექტემბერს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი **სერგო ორჯონიკიძე** თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოსა და საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით აცხადებდა:

---

[18] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები 1883-1970, თბილისი, 1971, გვ. 555-556.
[19] ოთარ გოგოლიშვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში, ბათუმი, 2000, გვ. 69-71.

საქართველოს ეროვნული არქივი



„ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება იყო, რაც უნდა უმნიშვნელო და უშედეგო არ უნდა ყოფილიყო ეს „გამოლაშქრება“, ძირშივე აღმოგვეფხვრა მშრომელი მოსახლეობის მშვიდობიანი შრომის ხელის შემშლელი ავანტიურა, რადგან ჩვენ ათასჯერ ვამჯობინებდით, დაღვრილიყო ბანდიტ-მენშევიკ-ნაციონალ-დემოკრატთა სისხლი, ვიდრე სისხლი მუშა-გლეხების. (მქუხარე ტაში)“.[20]

სერგო ორჯონიკიძე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ 1924 წლის აჯანყებაში გლეხობას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მისი თქმით, აჯანყებაში მონაწილეობდნენ: „ოფიცრები, თავადაზნაურობა და სამღვდელოება – აი ავანტიურისტების მთავარი ძალები“.

სერგო ორჯონიკიძე შეეხო 1924 წლის აჯანყების უცხოურ პრესაში გაშუქების საკითხს. ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ უცხოურ პრესაში აჯანყების გაშუქება სუბიექტური იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მოხსენების დასასრულს სერგო ორჯონიკიძემ დასვა კითხვა: „რათ დასჭირდათ „აჯანყება“? და თვითონვე უპასუხა: „ჯერ ერთი, იმისთვის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში მუდამ იყოს ომი, რათა ვერ შევსძლოთ აღმშენებლობა, ვერ ავაშენოთ სახელმწიფო, ვერ წავწიოთ მუშების და გლეხების მდგომარეობა წინ, რომ შემდეგ უთხრან მუშებს: აი თქვენი საბჭოთა სახელმწიფო, რა ყრია შიგ, ყველა მშიერი და მწყურვალე არისო“.[21]

1924 წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იმსჯელა საქართველოში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით და იძულებული იყო ეღიარებინა დაშვებული შეცდომები. მართალია პლენუმზე აღინიშნა, რომ აჯანყებაში გლეხების მონაწილეობა მასიური არ ყოფილაო, თუმცა, ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ საქმე სხვაგვარად იყო. ამიტომაც პლენუმმა მოიწონა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებები და მიიღო 26 პუნქტიანი დადგენილება. აღნიშნული დადგენილებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეექვსე, მეთორმეტე, ოცდამესამე და ოცდამეექვსე პუნქტები.

[20] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, N203, 6 სექტემბერი, გვ. 2.
[21] ს. ორჯონიკიძე, მენშევიკების ავანტიურა საქართველოში, 1924, გვ. 10-37.

საქართველოს ეროვნული არქივი

მეექვსე პუნქტის მიხედვით პარტიულ ორგანიზაციებს უნდა შეეწყვიტათ ეკლესიების დახურვა. იქ, სადაც მოსახლეობა მოითხოვდა დახურული ეკლესიების გახსნას, მათ ამის შესაძლებლობა უნდა მისცემოდათ.

მეთორმეტე მუხლში საუბარი იყო იმაზე, რომ სახალხო კომისართა საბჭოს თვალყური უნდა ედევნებინა, რათა ადგილებზე ახალი გადასახადების შემოღება არ მომხდარიყო.

ოცდამესამე პუნქტში ხაზგასმული იყო სხვადასხვა დაწესებულებებში თანამშრომელთა ნაციონალური შემადგენლობის კუთხით გარკვეული პროპორციის დაცვის აუცილებლობა.

ოცდამეექვსე პუნქტში აღნიშნული იყო საქართველოს კომუნისტურ პარტიაში ყოფილი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიღების შესაძლებლობაზე.[22]

მოგვიანებით სერგო ორჯონიკიძე შეეხო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას და იძულებული იყო ეღიარებინა ხელისუფლების მიერ დაშვებული გარკვეული შეცდომები. მან განაცხადა:

„ეკლესიის საკითხი ხშირად ირჩეოდა ჩვენს პარტიაში. მიღებული იყო სათანადო გადაწყვეტილებებიც. ჩვენს პარტიაში ეხლა არ არის არც ერთი ისეთი სერიოზული ამხანაგი, რომელიც არ ფიქრობდეს, რომ ამ საკითხში ჩვენ გადავაჭარბეთ. ცეკას პლენუმმა გადასწყვიტა გამოასწოროს ეს ურყევათ და რადიკალურად. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გლეხს არ უნდა ეკლესია, რომ ის ნებაყოფლობით დათანხმდა მის დახურვაზე, - ეს თავის მოტყუილებაა“.[23]

სერგო ორჯონიკიძე ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ შესაძლოა მისი შექმნა შეცდომა ყოფილიყო, თუმცა მთლიანობაში ის ლენინის ეროვნულ პოლიტიკას იწონებდა.[24]

1924 წლის აგვისტოს მოვლენებს დიდი ყურადღება დაუთმო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა სერგო ორჯონიკიძის ინფორმაცია და გამართა დისკუსია საქართველოში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით. სერგო ორჯონიკიძის თქმით, საქართველოს აჯანყებულ რეგიონებში მენშევიკების ზეგავლენა უაღრესად დიდი იყო. სწორედ ამაზე მიუთითებს მისი შემდეგი განცხადება:

„1921 წელს ჩვენ შევედით საქართველოში, როცა ჩვენს წინააღმდეგ იყო მთელი მოსახლეობა, შეშინებული მენშევიკებისაგან. ჯერ კიდევ 1904-1905 წლებში კამათი და დაპირისპირება ჩვენსა და მენშევიკებს შორის მენშევიკების სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ როდესაც ჩვენ ათეულობით, ყველაზე მეტი ასეულობით კაცს ვითვლიდით, მენ-

[22] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, N234, 12 ოქტომბერი, გვ. 2.
[23] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, N240, 19 ოქტომბერი, გვ. 1.
[24] გაზეთი „კომუნისტი“, 1924, N240, 19 ოქტომბერი, გვ. 1.

საქართველოს ეროვნული არქივი

შევიკებს რიგებში 15 000 კაცი ჰყავდათ, მაშინ როდესაც სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობებზე საქართველოდან ჩვენი პარტიის რიგებიდან არ შეგვეძლო თუნდაც ერთი დელეგატის გაგზავნა, მენშევიკები ორ ათეულ დელეგატს აგზავნიდნენ".[25]

პლენუმზე სერგო ორჯონიკიძე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველი გლეხობა იბრძოდა არა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, არამედ მის წინაშე მდგარი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. სერგო ორჯონიკიძე აცხადებდა: „მენშევიკური მთავრობა გლეხობისაგან გადასახადს არ იღებდა, ჩვენ კი არცთუ მცირე გადასახადს ვახდევინებთ.. აი აქ უნდა ვეძებოთ ჩვენი მარცხის მიზეზი ოზურგეთის რაიონში".[26]

სერგო ორჯონიკიძე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ აჯანყების ჩახშობის დროს საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას, ის აცხადებდა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს, იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, თუმცა ამას ახლა რაღა ეშველება".[27]

პლენუმზე საქართველოში მომხდარ აჯანყებას შეეხო **იოსებ სტალინი.** მან აღნიშნა: „ეს აჯანყება, რა თქმა უნდა, ბუტაფორული იყო, მაგრამ ზოგიერთ მაზრაში, განსაკუთრებით გურიაში, მას უსათუოდ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. რა უნდოდათ გლეხებს გურიაში? იაფი საქონელი, სიმინდის დიდი ფასი. გურია დასავლეთის საზღვარზეა, ის ხედავს საზღვარგარეთული საქონლის სიიაფეს ჩვენს საბჭოთა საქონელთან შედარებით, და მას უნდა, რომ ჩვენი საქონლის ფასები შემცირდეს საზღვარგარეთულ ფასებამდე მაინც, ან სიმინდის ფასი გადიდდეს იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს საბჭოთა საქონლის ხელსაყრელად ყიდვა. ესაა ეკონომიური საფუძველი გურიის აჯანყებისა საქართველოში. სწორედ ამიტომ ეს აჯანყება მაჩვენებელია ბრძოლის ახალი პირობებისა მთელ საბჭოთა ქვეყანაში. აი რატომ არის, რომ საქართველოში მომხდარ აჯანყებას ვერ გავუტოლებთ ტამბოვის აჯანყებას, სადაც საქმე ეხებოდა არა ნაწარმთა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს, არამედ სასურსათო გაწერის გაუქმებას".[28]

ამდენად, იოსებ სტალინმა 1924 წლის აჯანყება ეკონომიკურ საკითხებს დაუკავშირა და მასში ეროვნული მოტივები გამორიცხა.

გრიგორი ზინოვიევმა გურიაში გლეხთა აჯანყება კრონშტადტის აჯანყებას შეადარა, ხოლო **ლევ ტროცკიმ** კი - ტამბოვის აჯანყებას. ლევ ტროცკიმ ამასთან დაკავშირებით საგულისხმო შენიშვნა გააკეთა: „ტამბოვის აჯანყება ეს არის აჯანყე-

[25] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 407.
[26] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 408.
[27] ზ. გამსახურდია, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული... საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი.- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1991, N33, 19 თებერვალი, გვ. 2.
[28] ი. ბ. სტალინი, თზულებანი, ტ. 6, 1924, თბილისი, 1949, გვ. 361.

საქართველოს ეროვნული არქივი

ბა გლეხების, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ძველი კულაკები, რომელთაც არ უნდოდათ განკულაკება, ახლა კი ჩვენ ვხედავთ გლეხობის მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ახალი კულაკები, რომლებსაც არ სურთ ხელი შეუშალონ კულაკად ჩამოყალიბებაში“![29]

პლენუმზე მიიღეს დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „დაევალოთ გლეხთა კომიტეტებს (სათემო შეკრებებს) მიიღონ თავადაზნაურთა გასახლების დადგენილება. ყურადღება მიაქციონ, რომ თავადაზნაურთა კონფისკაციის დროს ქონების გარკვეული ნაწილი გადაეცეს უქონელ გლეხობას“.[30]

პლენუმის აღნიშნულმა დადგენილებამ ბიძგი მისცა საქართველოში ახალი რეპრესიების დაწყებას. აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფელში თემის საბჭოებს გამოჰქონდათ დადგენილება ამა თუ იმ სოფლიდან ყოფილ თავად-აზნაურთა გასახლებისა და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ.[31] პროცესმა უმართავი ხასიათი მიიღო. სოფლებიდან გაძევებული და უსახსროდ დარჩენილი ადამიანები ტყეღრეებში დაეხეტებოდნენ.

1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მამია ორახელაშვილმა გაამართლა განხორციელებული ძალადობა და გაკვირვებულმა იკითხა: „ეს რომელი დროიდან გახდა ძალადობის ელემენტი ბოლშევიკებისათვის სამარცხვინო?“[32]

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი **მიხეილ კახიანი** ცდილობდა დაეფარა საბჭოთა ხელისუფლებით ქართველი გლეხობის უკმაყოფილება და აჯანყების ინიციატორად იმპერიალისტები და მეორე ინტერნაციონალი დაასახელა. ის აცხადებდა:

„საქმის ვითარების დეტალურად გაცნობის შემდეგ, არავითარი ეჭვი არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმაში, რომ შეიარაღებული გამოსვლები შედეგად მოჰყვა არა ჩვენი პარტიის პოლიტიკას და ისინი გამოწვეულნი იყვნენ არა მშრომელი ხალხის მასიური უკმაყოფილებით ჩვენში, არამედ ნაკარნახევი და მოწყობილი იყვნენ იმპერიალისტებისა და მათი დამხმარე 2 ინტერნაციონალის დირექტივით და ბრძანებით“.[33]

მიხეილ კახიანი სვამს კითხვას, იყო თუ არა აჯანყება მოულოდნელი საბჭოთა ხელისუფლებისთვის? კითხვაზე მისი პასუხი ასეთია: „შეიარაღებული გამოსვლები მოუ-

---

[29] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 407.

[30] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 408.

[31] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10.

[32] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 442.

[33] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

ლოდნელი იყო იმ მხრივ, რომ არც ერთ ჩვენთაგანს არც ცენტრში და არც ადგილებზე არ ეგონა, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტია გაბედავდა ისეთ აშკარა ავანტიურის მოწყობას, რომელიც წინდაწინვე იყო განწირული დასამარცხებლად. ჩვენ არ მოველოდით არც იმას, რომ გამოსვლები ასეთი მასშტაბით იქნებოდა მოწყობილი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცოდით, რომ მზადდებოდა გამოსვლები, ჩვენ ამის შესახებ მოგვდიოდა ცნობები".[34]

მიხეილ კახიანის თქმით აჯანყებაში შემდეგი სოციალური ფენები მონაწილეობდნენ: „თავადები, აზნაურები, ოფიცრები, ვაჭრები, მღვდლები, სისხლის სამართლის დამნაშავენი და სხვა ბანდიტური ელემენტები".[35] მიხეილ კახიანი ამ ფენების აჯანყებაში ჩართვის მიზეზებსაც განმარტავს: „აქვთ საფუძველი უკმაყოფილო იყონ საბჭოთა ხელისუფლებით, რადგანაც მან წაართვა მათ პოლიტიკური უფლებები და ეკონომიური უპირატესობანი. აზნაურებს და თავად-მემამულეებს ჩვენ მიერ ჩატარებულ აგრარულ რევოლიუციის წყალობით ჩამოერთვა კერძო საკუთრება, ვაჭრები განდევნა ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ზრდამ, ისინი მოექცენ გაბოროტებული ხალხის ბანაკში, რომელიც მზად არის ყოველგვარ ავანტიურაზე წავიდეს (საკმარისია ვსთქვათ, რომ ტფილისში 1 ნახ. წ. განმავლობაში სხვადასხვა მიზეზების გამო დაიხურა 2.000 მაღაზია და დუქანი, საქართველოში ხომ სწორედ ეს ელემენტები შეადგენდენ მენშევიკური პარტიის ძირითად ნაწილს), მღვდლებს კი ეკლესიების დახურვის გამო საშუალება არ აქვთ „ღვთის მსახურება" გასწიონ და ამით მოაგროვონ ფულები".[36]

თუმცა მიხეილ კახიანი იძულებულია აღიაროს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური ფენების გარდა აჯანყებაში მონაწილეობდნენ ასევე გლეხებიც: „გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა აგრედვე გლეხობის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ნაწილობრივ მოტყუილებით იყო ჩათრეული აჯანყებაში, ნაწილობრივ მობილიზაციის წესით გაწვეული, ნაწილობრივ კი თვითონ შეუერთდა აჯანყებულებს".[37]

მიხეილ კახიანი ეხება 1924 წლის აჯანყების გამომწვევ მიზეზებს, რომელიც, მისი აზრით, შემდეგში მდგომარეობდა: საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება ქართულ სოფელს, სადაც რევოლუციური წესით გატარდა მიწის რეფორმა, რომელმაც გლეხები მიწით ვერ უზრუნველყო; რაიონებად დანაწილებამ არ გამოიღო სასურველი შედეგი; ვერ მოხერხდა ადგილებზე საბჭოთა აპარატის გლეხებთან დაახლოება; აბრეშუმის პარკის ჩაბარების დროს გლეხს ფულის მაგივრად ქვითარს აძლევდნენ; ანტირელიგიური კამპანიის დროს უგულებელყოფდნენ მოსახლეობის ინტერესებს; გადასახადები ნაწილდებოდა არათანაბრად; მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სოფლად მომუშავე მილიციელები, მასწავლებლები,

[34] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 9.
[35] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 15.
[36] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 15.
[37] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 16-17.

საქართველოს ეროვნული არქივი

აგრონომები და ექიმები - ისინი იღებდნენ მცირე ჯამაგირს და თანაც დაგვიანებით; მოსახლეობას სახლებს იძულებით აზღვევინებდნენ; ქართველი ინტელიგენცია ვერ ეგუებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში გაერთიანებას და საქართველოში მყოფი რუსეთის წითელი არმიის ყოფნას.[38]

მიხეილ კახიანი ცრუობს, როდესაც ეხება გლეხების მიერ ქართლისა და კახეთის სოფლებში მემამულეების განდევნასა და მათი სახლ-კარის დაუფლებას. ამ პროცესს ის გლეხების სტიქიურ მოძრაობას უწოდებს[39] და არაფერს ამბობს პლენუმის იმ დადგენილებაზე, რომელმაც წააქეზა გლეხები აღნიშნული ნაბიჯის გადასადგმელად.

მიხეილ კახიანი თავის მოხსენებას ამთავრებს შემდეგი მოწოდებით: „ქალაქი ჩვენ მიერ დაპყრობილია, საჭიროა სოფლის დაპყრობა“.[40]

1924 წლის 8 სექტემბერს თბილისში, არსენალის რაიონში გაკეთებულ მოხსენებაში მიხეილ კახიანი შეეხო 1924 წლის აჯანყების შეფასებას. მან დასვა კითხვა: 1924 წლის აჯანყება იყო აჯანყება თუ ავანტიურა? მიხეილ კახიანის აზრით „ეს აჯანყება არ ყოფილა, მტკიცდება იმით, რომ მენშევიკებს შეიარაღებული აჯანყებისათვის არ ჰქონიათ საჭირო პოლიტიკური წინასწარი პირობები“. მიხეილ კახიანი სიამაყით აცხადებდა, რომ 1924 წლის აჯანყების დროს მუშათა კლასი „იდგა თავის პოზიციებზე – მუშათა ხელისუფლების სადარაჯოზე“. ანალოგიურად აფასებდა მიხეილ კახიანი გლეხების დამოკიდებულებას აჯანყებისადმი. საბოლოოდ, მიხეილ კახიანი აკეთებს ასეთ დასკვნას: „ამ ავანტიურამ საბოლოოდ გაანადგურა მენშევიკური პარტია“.[41]



საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლევან ღოღობერიძე** ნაშრომში „ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა“ ქართულ ემიგრაციას შემდეგნაირად ახასიათებს:

„ქართული ემიგრაციის უბრალო მონაწილენი და ბელადები, რომლებიც შეკრებილი არიან პარიზში და თავს უწოდებენ „მთავრობას“, „პარტიულ კომიტეტს“ და სხვა. წარმოადგენენ ნამდვილ პოლიტიკურ შარლატანების საზოგადოებას, რომლებიც პირადათ გახელებული არიან ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ყოველგვარ მორალურ და იდეურ წონას კი მოკლებული არიან.

[38] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 17-30.
[39] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 32-33.
[40] მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბილისი, 1924, გვ. 38.
[41] მ. კახიანი, მენშევიკები სამუშაოზე, თბილისი, 1924, გვ. 17-30.

საქართველოს ეროვნული არქივი

ესენი არიან წაგებული მოთამაშენი, რომელნიც ხელს აწერენ ყოველგვარ თამასუქებს და აგირავებენ თავის ტუალეტს საეჭვო ბედნიერების, შესაძლებელ, შემთხვევით მოგების იმედით“.[42]

ლევან ღოღობერიძე პოლიტიკური ამნისტიის საკითხსაც შეეხო და განაცხადა: „საზოგადოთ უნდა გითხრათ, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებას პოლიტიკური ამნისტია არ სჩვევია; არა იმიტომ, რომ ჩვენ კაციჭამია ხალხი ვართ და არ შეგვიძლია დამშვიდებული დავიძინოთ, თუ ჩეკის კამერები სავსე არ არის, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამნისტიით საქმე არ წყდება. აქ მოფერებით საკითხის მოგვარება შეუძლებელია“.[43]

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ბესარიონ ლომინაძე** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი საიდუმლოდ გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „1924 წლის აჯანყებაში ათასობით გლეხი მონაწილეობდა“.[44] ბესარიონ ლომინაძე მიხეილ კახიანისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ასევე აღიარებდა, „რომ მენშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა მნიშვნელოვანწილად გარდაუვალი იყო“.[45]



კ. სულაქველიძე, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე დადგა, 1924 წლის აჯანყებას ავანტიურად აფასებს. ის წერდა: „მთელი პასუხისმგებლობა იმ სრულიად უაზროდ და ბეცურად დანთხეულ ქართველი ხალხის სისხლში, რომელიც 24 წლის აგვისტოში მოხდა, თავს ადევს იმ პარტიულ კომიტეტში შემავალ პარტიებს, რომლებმაც ეს აჯანყება მოაწყვეს, და განსაკუთრებით მენშევიკურ პარტიას. სხვა დამნაშავე აქ არ არის“.[46]

ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1924 წლის აჯანყებას შეეხო **კლიმენტი შელია** იყო. ავტორი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად აჯანყებას „ავანტურას“ უწოდებს, რომელიც მისი აზრით „მოწყობილ იქნა ინგლის-საფრანგეთის იმპე-

[42] ლევან ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბილისი, 1927, გვ. 5.
[43] ლევან ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბილისი, 1927, გვ. 82.
[44] ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, N3, გვ. 38-40.
[45] ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, N3, გვ. 42.
[46] კ. სულაქველიძე, რა მოხდა? (ვინ მოაწყო და როგორ აგვისტოს აჯანყება), თბილისი, 1927, გვ. 36-37.

საქართველოს ეროვნული არქივი



რიალისტების მითითების თანახმად, მათი ფულითა და გეგმებით. მენშევიკების ავანტურას ხალხმა მხარი არ დაუჭირა და ზურგი შეაქცია მას...“[47]

ისტორიკოსი **იური კაჭარავა** აგრძელებს საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთის შესრულებას და წერს: „საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თითქმის ხელუხლებელი დარჩა კონტრ-რევოლუციის რეზერვები. რევოლუციურმა ხელისუფლებამ ამნისტირებულად გამოაცხადა ყველა ანტისაბჭოთა პარტია. მათ შორის, მარტო მენშევიკები 80 ათასამდე წევრს ითვლიდნენ თავიანთ რიგებში. ასევე მრავალრიცხოვანი იყო რეაქციული ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის პოლიტიკური პარტია – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მათ შემდეგ, თავიანთი პოლიტიკური წონისა და რაოდენობრივი შემადგენლობის მიხედვით, მიდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვ.“

იური კაჭარავას აზრით „მენშევიკების სისხლიან ავანტიურას აღშფოთებით შეხვდა საქართველოს მშრომელი ხალხი... გამოსვლამ დაამტკიცა, რომ მენშევიკებს არ ჰქონდათ არავითარი ნიადაგი და დასაყრდენი არც მუშათა კლასში, არც გლეხობაში და აგრეთვე არც ქართველი ინტელიგენციის რიგებში...“[48]

1924 წლის აჯანყების მიზეზები იური კაჭარავას გამოკვლევაში ე. კვირინგის ზემოთ ხსენებული ბროშურის მიხედვითაა წარმოდგენილი. ავტორი ცდილობს წინა პლანზე სოციალური საკითხები წამოწიოს, ხოლო ეროვნული საკითხი კი მიჩქმალოს. ანუ, იური კაჭარავა ცდილობს ქართული ეროვნული მოძრაობა სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებულ უკმაყოფილო გლეხთა მოძრაობით ჩაანაცვლოს. იური კაჭარავა მიუთითებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომელიც გამოიყენეს ანტისაბჭოთა პარტიებმა. ასეთ შეცდომებად მას მიაჩნია:

1) სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე. იგი გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა, სოფლად პარტიული ორგანიზაციების ნელ ზრდაში; 2) სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუსტი მუშაობა. მათ არ ჰყავდათ

[47] კლიმენტი შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის (1921-1926 წ.წ.), სოხუმი, 1957, გვ. 149.

[48] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925), თბილისი, 1958, გვ. 268; 304.

საქართველოს ეროვნული არქივი



თავის გარშემო მტკიცედ დარაზმული უპარტიო გლეხთა აქტივი, უპარტიო გლეხობა ნაკლებად იყო ჩაბმული საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში; 3) სოფლად ადგილი ჰქონდა საბჭოთა და პარტიული ორგანოების ფუნქციათა ხშირ აღრევას. იგი გამოიხატა სოფლის ეკონომიკურ ცხოვრებაში პარტიული ორგანოების უხეშად ჩარევაში; 4) სოფლად ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ეკონომიკური ხასიათის სიძნელეს. ჯერ ერთი, მიწის რეფორმის დროს საშუალო და უღარიბეს გლეხობას მიწის საერთო სიმცირის გამო, დადგენილი ნორმის მიწა ვერ მისცეს. მაშინ, როდესაც კულაკურ და შეძლებულ გლეხურ მეურნეობებს, მიწის ჩამორთმევის შემდეგ, დადგენილი ნორმა მაინც შერჩათ, შერჩათ მათ აგრეთვე უკეთესი სამეურნეო ინვენტარი და ცოცხალი გამწევი ძალა, ყოველივე ეს ქმნიდა სოფლად პირობებს კულაკობის გავლენის შემდგომი ზრდისათვის; 5) პარტიის ეროვნული პოლიტიკის გატარების დროს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დამახინჯებას. ჯერ ერთი, არასაკმარისი პოლიტიკური მუშაობის შედეგად მასებს არ განემარტა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში მომხდარი ცვლილებების პოლიტიკური მნიშვნელობა. ამის გამო წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და კულაკურ გლეხობაში ერთგვარი გასავალი ჰქონდა მენშევიკურ ვერსიას „ისტორიული საქართველოს დაქუცმაცებისა და დაშლის“ შესახებ. მეორე, საერთოდ სუსტად წარმოებდა მასებში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის, მისი თეორიისა და პროგრამის პოპულარიზაცია, რის გამოც წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და გლეხობაში ერთგვარი გასავალი ჰქონდა ნაციონალისტური პარტიების ვერსიას „ბოლშევიკების ეროვნული ნიჰილიზმის“ შესახებ.[49]

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეშვიდე ტომში (რედაქტორი იური კაჭარავა) 1924 წლის აჯანყებაზე მიძღვნილი თავის ავტორია იური კაჭარავა, რომელმაც უცვლელად გაიმეორა მის მიერ ადრე გამოცემულ ნაშრომში[50] გამოთქმული მოსაზრებები. გამომდინარე იქიდან, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ წლების განმავლობაში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მთავარ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, მასზე უფრო ვრცლად შევჩერდებით.

[49] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925), თბილისი, 1958, გვ. 308-314.

[50] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925), თბილისი, 1958.

საქართველოს ეროვნული არქივი

იური კაჭარავა 1924 წლის აჯანყებას ტერმინ „ავანტიურით“ მოიხსენიებს.[51] ის აღწერს საზღვარგარეთ, ემიგრაციაში მყოფი კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენელთა კოორდინირებული მუშაობისა და საქართველოში მყოფი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრთა დაახლოების პროცესს. იური კაჭარავა ხაზს უსვამს ქართველი პოლიტიკოსების გაძლიერებულ მოლოდინს გენუის კონფერენციის მიმართ. აკაკი ჩხენკელი საგანგებოდ შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს მილიერანს და მთავრობის თავმჯდომარეს პუანკარეს. აკაკი ჩხენკელი ითხოვდა გენუის კონფერენციაზე არ დაეშვათ საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი და პირიქით, მიეწვიათ საქართველოს ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენელი. აკაკი ჩხენკელის წინადადებამ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.[52]

იური კაჭარავა საგანგებოდ უსვამს ხაზს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) მიერ, საეკლესიო საბჭოსა და ქართველი ერის სახელით, გაგზავნილ მემორანდუმს, სადაც იყო მოთხოვნა ევროპის სახელმწიფოები დახმარებოდნენ ქართველ ერს საქართველოდან წითელი არმიის გაყვანასა და რეფერენდუმის ჩატარებაში.

იური კაჭარავა აყალბებს ფაქტებს და წერს, რომ ანტისაბჭოთა პარტიები ემზადებოდნენ რა გენუის კონფერენციისთვის, ამზადებდნენ საქართველოში შეიარაღებულ აჯანყებას სვანეთში, გურიაში, ფშავ-ხევსურეთში, ბორჯომის რაიონში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში.[53] სინამდვილეში სვანეთის აჯანყება 1921 წლის შემოდგომაზე დაიწყო, ხოლო გენუის კონფერენციის მიმდინარეობისას საბჭოთა რეჟიმი სასტიკ ანგარიშსწორებას ეწეოდა აჯანყებულების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომაც სპეციალური წერილით მიმართა ნოე ჟორდანიამ გენუის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და საქართველოში მიმდინარე რეპრესიების შეჩერება ითხოვა.

იური კაჭარავა აღწერს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მიერ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნის (ის ამ ორგანოს „პარიტეტული კომიტეტის“ სახელით მოიხსენიებს) და აჯანყების თარიღის რამდენჯერმე გადაწევის ფაქტს. ი. კაჭარავა არასრულად აღწერს აჯანყების გეოგრაფიას და ხაზს უსვამს მასში მონაწილე სოციალურ ფენებს.

იური კაჭარავა ეხება 1924 წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, სადაც აჯანყების გამომწვევ მიზეზებზე იყო საუბარი. პლენუმი იძულებული გახდა ეღიარებინა გარკვეული შეცდომები სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მსგავსი შეცდომების ხუთი პუნქტი გამოიყო:

[51] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII. თბილისი, 1976, გვ. 201.
[52] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბილისი, 1976, გვ. 190-192.
[53] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბილისი, 1976, გვ. 192.

საქართველოს ეროვნული არქივი

1. სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე, საქართველოს სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში 6 ათასამდე კომუნისტი ირიცხებოდა, მაშინ როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (მენშევიკები) გურიის ორგანიზაციაში 8-10 ათასი წევრი ირიცხებოდა.

2. სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისუსტე.

3. სოფლად საბჭოთა და პარტიული ორგანოების ფუნქციების ხშირი აღრევა.

4. სოფლად არსებული ზოგიერთი ეკონომიკური ხასიათის სიძნელე. მიწის რეფორმის მიუხედავად საშუალო და უღარიბესმა გლეხობამ მიწის დადგენილი ნორმა ვერ მიიღეს. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დაბალი ფასები იყო სამრეწველო საქონლის ფასებთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერისას, დასაბეგრი ობიექტების არაზუსტი აღრიცხვის გამო, დაშვებული იყო შეცდომები. სოფლის ინტელიგენციის მატერიალური პირობები კვლავაც მძიმე რჩებოდა. მხოლოდ 1924 წლის სექტემბერში მოხერხდა მასწავლებელთა ხელფასების დავალიანების გასტუმრება. უკეთეს მდგომარეობაში არც აგრონომები და ექიმები იყვნენ. ამიტომაც, ი. კაჭარავა იძულებულია გაიმეოროს მიხეილ კახიანის სიტყვები და აღიაროს, რომ „სოფლის ინტელიგენციის „უმნიშვნელო“ ნაწილი იარაღით ხელში მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციურ გამოსვლაში“.[54]



5. პარტიის ეროვნული პოლიტიკის გატარების დროს იყო ზოგიერთი დამახინჯება. მოსახლეობას არ განემარტა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში მომხდარი ცვლილებების პოლიტიკური მნიშვნელობა. სუსტად მიმდინარეობდა მასებში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის, მისი თეორიისა და პროგრამის პოპულარიზაცია. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების დროს, და შემდეგაც, ფედერაციული ხელისუფლების ორგანოთა უფლებების მეტისმეტად გაფართოება ეროვნული რესპუბლიკების უფლებათა ხარჯზე, ზომაზე მეტი ცენტრალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლებების ხარჯზე. ამიტომაც ფართო გასავალი მიეცა ვერსიას „საქართველოს დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის“ შესახებ.[55]

[54] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბილისი, 1976, გვ. 203-206.
[55] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბილისი, 1976, გვ. 206-207.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

იური კაჭარავა 1924 წლის აჯანყების მარცხის მთავარ შედეგად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიისა და ქართული ემიგრაციის დაშლას მიიჩნევს.[56]

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“, რომელიც საბჭოთა ისტორიკოსთა განმაზოგადებელ ნაშრომს წარმოადგენს, 1924 წლის აჯანყება „კონტრრევოლუციურ პუტჩად“ არის შეფასებული, ხოლო აჯანყების მონაწილეებად კი დასახელებულია: „თავადები და აზნაურები, ყოფილი ოფიცრები და კულაკები, ვაჭრები და მღვდლები, სისხლის სამართლის დამნაშავენი...“.[57]



1925 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ: (საბრალდებო დასკვნა)“, რომელიც სასამართლოს საბრალდებო დასკვნასა და აჯანყების ხელმძღვანელების მიერ სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებებიდან ამონარიდს წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია მკითხველზე გარკვეული ეფექტის მოხდენა და საბჭოთა ხელისუფლების ჰუმანურად წარმოჩენა, რომელმაც ბრალდებულებს მკაცრი სასჯელი შეუმსუბუქა.[58]

ამდენად, იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიდგომა და შეფასება 1924 წლის აჯანყებისადმი იმთავითვე განსაზღვრული იყო. ისტორიკოსებს უნდა გაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების თვალსაზრისი და ერთგვარი გამართლება უნდა მოეძებნათ აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანაში განხორციელებული უმკაცრესი რეპრესიებისათვის. ამასთან, ამ შეფასებას უნდა მოეხდინა საქართველოს ემიგრანტული მთავრობის, საქართველოში იატაკქვეშეთში მომუშავე პოლიტიკოსების, აჯანყების სამხედრო და პოლიტიკური ხელძღვანელების დისკრედიტაცია. ყოველივე ამის ფონზე საბჭოთა ხელისუფლებას სათანადო „არგუმენტების“ მოშველიებით უნდა დაემტკიცებინა, რომ ევროპის სახელმწიფოები აჯანყების დასახმარებლად საქართველოში ინტერვენციას გეგმავდნენ.

---

[56] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბილისი, 1976, გვ. 208.

[57] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები 1883-1970, თბილისი, 1971, გვ. 550-555.

[58] საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ: (საბრალდებო დასკვნა), თბილისი, 1925.

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა პოლიტიკური ლიდერები და ისტორიკოსები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ აჯანყებაში გლეხობაც მონაწილეობდა, თუმცა აჯანყების ეროვნულ შინაარს ისინი საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ და ამ საკითხს მხოლოდ გაკვრით ეხებოდნენ. სამწუხაროდ, საქართველოში არ აღმოჩნდა ისტორიკოსი, რომლის შეხედულება 1924 წლის აჯანყების შეფასებაში ხელისუფლების თვალსაზრისისგან ოდნავ განსხვავებული და ობიექტური იქნებოდა - ეს იმხანად შეუძლებელი იყო.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ემიგრანტული ქართული ისტორიოგრაფია

ემიგრანტული ქართული ისტორიოგრაფია 1924 წლის აჯანყების შეფასების თვალსაზრისით, ცხადია, საბჭოთა ისტორიოგრაფიისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრანტულ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც გარკვეულწილად აისახა ის წინააღმდეგობა, რაც არსებობდა საერთოდ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში (სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს შორის ძველი დაპირისპირება 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ კიდევ უფრო გაამწვავა).

ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ნოე ჟორდანიამ, ნოე რამიშვილმა, სოლომონ ზალდასტანიშვილმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა, დავით ვაჩნაძემ, მიხეილ ლაშქარაშვილმა, ალექსანდრე კარგარეთელმა, სიმონ გოგიბერიძემ, რაჟდენ არსენიშვილმა, ვალიკო ჩუბინიძემ, შალვა ამირეჯიბმა, ალექსანდრე ასათიანმა და სხვებმა თავიანთ ნაშრომებში მიმოიხილეს 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები და ის სისხლიანი რეპრესიები, რომელიც თავს დაატეხა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს. ავტორთა აზრით, მშვიდობიანი ბრძოლის ყველა მეთოდის და საშუალების (დემონსტრაციები, მანიფესტაციები და სხვა) ამოწურვის შემდეგ ლოგიკურად დადგა დღის წესრიგში საყოველთაო და მასობრივი ამბოხების გარდუვალობის საკითხი. ამ ნაშრომებში გატარებულია ის აზრი, რომ აჯანყებულები გარკვეულწილად წაახალისა საერთაშორისო ძალების მხარდაჭერის მოლოდინმა, რაც საბოლოო ჯამში არარეალური აღმოჩნდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა და საქართველოს ემიგრანტული მთავრობის თავმჯდომარემ **ნოე ჟორდანიამ** 1924 წლის ნოემბერში ქართველ ხალხს წერილით მიმართა, რომელშიც ავტორმა 1924 წლის აჯანყებას ეროვნული უწოდა. ნოე ჟორდანიას თქმით, 1924 წლის აჯანყებამ „შეაშფოთა ბნელეთის მოციქული მოსკოვი და მისი დაქირავებული აგენტები. გაახარა ყველა დანარჩენნი, მთელი კაცობრიობა, სიმართლის და თავისუფლების მოტრფიალენი...“ ნოე ჟორდანიამ იმედი გამოთქვა, რომ „მახვილის ამღებნი მახვილით დაეცემიან...“[59]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნოე ჟორდანიამ რამდენიმე წერილი მიუძღვნა 1924 წლის აჯანყებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბროშურა „რა მოხდა“. ნოე ჟორდანია გამოყოფს აჯანყების დადებით და უარყოფით მხარეებს. აჯანყების დადებით მხარედ მას მიაჩნია ის, რომ „შიგნით მან გააერთიანა მთელი ერი“, ხოლო გარეთ კი „დასვა ჩვენი საკითხი პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში“. ამასთან,

[59] გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბილისი, 2005, გვ. 102-104.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნოე ჟორდანიას აზრით ამ აჯანყების განსაკუთრებულობის მაჩვენებელია ის, რომ შესაძლებელი გახდა ერთი და იმავე დროს კონსპირაციულად მოწყობილიყო აჯანყების კერები საქართველოს სხვადასხვა მაზრებში და „მოძრაობაში ჩაება მასები... ის არის ერთ და იმავე დროს აჯანყებაც და რევოლუციაც. აქ შეერთდა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერის სტიქია“.



1924 წლის აჯანყების უარყოფით მხარედ ნოე ჟორდანიას მიაჩნია ის, რომ „მისი სიმძიმის ცენტრი შეიარაღებულ გამოსვლებიდან გადავიდა უიარაღოთა გამოსვლებში, რევოლუციურ მოძრაობაში. აჯანყება დაფარა რევოლუციამ და მით ის დაასუსტა“. ამან კი, ნოე ჟორდანიას აზრით, აჯანყების მიმდინარეობა დააზარალა: „საქართველოს აჯანყებამ იწარმოვა სრულიად წინააღმდეგ აჯანყების ძირითადი კანონისა. აქ ხალხის რევოლუციური გამოსვლა სავსებით ფარავს სამხედრო მოქმედებას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მოძრაობას მეთაურობს უიარაღო ხალხი, შეიარაღებულნი გამონაკლისია. აღმოსავლეთში მოქმედებენ უმთავრესათ შეიარაღებული რაზმები, იჩენენ თავდასხმის ინიციატივას, მაგრამ მცირე რიცხოვნობის გამო მოწინააღმდეგეთ ვერ უმაგრდებიან. მოძრაობა აქ უფრო გავს აჯანყებას, ვინემ რევოლუციურ მღელვარებას“.

ამდენად, ნოე ჟორდანიას აზრით აჯანყების ზემოხსენებული უარყოფითი მომენტი გახდა იმის მიზეზი, რომ დასავლეთ საქართველოში აჯანყებამ მიიღო „ხალხური“, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი „რაზმული“ ხასიათი.

ნოე ჟორდანიას აზრით, აჯანყების შეფასებისას უმთავრესია მისი პოლიტიკური მიზანი: „აჯანყების საზომი არის არა გამარჯვება-დამარცხება, არამედ სულ სხვა რამ, რასაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ამ დაუყონებლივ შედეგებთან. აჯანყების ერთათ-ერთი საზომია მისი პოლიტიკური მიზანი, მისი დროშა, მისი იდეოლოგია. მომხრე ამ იდეოლოგიისა მომხრეა მისთვის გაღებული მსხვერპლისაც, მოწინააღმდეგე ამ იდეოლოგიისა – მოწინააღმდეგეა აჯანყებისაც...“[60]

ამდენად, ნოე ჟორდანიას აზრით, 1924 წლის აჯანყება რევოლუციის ნიშნებსაც ატარებდა, თუმცა ამან, გარკვეულწილად აჯანყება დააზარალა.

მცირე ზომის წერილში „დიდი თარიღი“ ნოე ჟორდანია აცხადებს, რომ „ქართველმა ერმა 1924 წ. დაამტკიცა, რომ მას არ შეუძლია შეურიგდეს მონობას, რომ თა-

[60] ნ. ჟორდანია, რა მოხდა, პარიზი, 1925, გვ. 4-15.

საქართველოს ეროვნული არქივი

ვისუფლების მოსაპოვებლათ არავითარ მსხვერპლს არ ერიდება, ვინაიდან „ვარდი უეკლოთ არავის მოუკრეფია“.[61]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი **ნოე რამიშვილი** მცირე მოცულობის ბროშურაში „საქართველო და რუსეთი“ ეხება 1924 წლის აჯანყებას და აცხადებს, რომ მტერი ცდილობდა რეპრესიებით გაეტეხა ქართველი ერი, თუმცა მან ეს ვერ შეძლო:



„აჯანყება დამარცხდა, რუსის ლაშქარმა სძლია ერთსულოვნათ ამოძრავებულ ქართველობას. და აი მტერმა ააოხრა საქართველო და გაჟლიტა მისი საუკეთესო შვილები. მთელი ქართველი ერი ძაძებში გახვეულია. მტერი არ ერიდება არავითარ ძალდატანებას, რომ საქართველო სისხლის მორევში ჩაახრჩოს და ტერორით და ათასნაირი ხრიკებით ქართველი ერი სულიერათ გასტეხოს. ამაო ცდაა. ქართველი ხალხი გამოწრთობილია ხანგრძლივ ეროვნულსა და რევოლიუციონურ ბრძოლაში. მან კარგად იცის დიდებული პოეტის სიტყვები: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“.[62]

ემიგრანტმა **ვასილ დუმბაძემ** 1925 წელს ნიუ იორკში გამოსცა წიგნი „კავკასიის რესპუბლიკები: პატარა დემოკრატიები, რომლებიც დაივიწყა მსოფლიომ“. ავტორი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით აღწერს იმ ტრაგედიას, რაც რეგიონის სუვერენულ სახელმწიფოებს დაატყდათ თავს მათი გასაბჭოების, ფაქტობრივად, ბოლშევიკურ იმპერიაში ინკორპორაციის შემდეგ.[63]

1924 წლის აჯანყების მონაწილემ **სიმონ გოგიბერიძემ** 1938 წელს პარიზში გამოაქვეყნა ნაშრომი „ბრძოლა სამშობლოსათვის“.[64] ავტორმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის აფხაზეთის ფრონტზე, ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს და მაისის ბოლომდე სოხუმის საპყრობილეში იმყოფებოდა. განთავისუფლების შემდეგ კი გურიაში დაბრუნდა.[65]

---

[61] ნოე ჟორდანია, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1990, გვ. 61.
[62] ნოე რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, პარიზი, 1924, გვ. 54-55.
[63] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“. პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 156-157.
[64] სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991.
[65] სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991, გვ. 9.

საქართველოს ეროვნული არქივი



მართალია ავტორი აღწერს ანტიბოლშევიკურ მოძრაობას გურიაში 1921-1924 წლებში, თუმცა პროცესებს ერთიანი ეროვნული მოძრაობის კონტექსტში განიხილავს.

სიმონ გოგიბერიძე უშუალო თვითმხილველი იყო გურიაში მიმდინარე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა, ამიტომაც მის ნაშრომს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ავტორი ეხება საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მოსახლეობაში არსებულ განწყობას. მისი თქმით, „ზოგი ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს „ბოლშევიკებთან" საერთო ენა მოინახებოდა და ეს საქართველოს დაპყრობა არ გადაიქცეოდა ისეთ დაპყრობად, როგორც ეს საერთოდ ხდება ასეთ შემთხვევაში. ზოგი ფიქრობდა, რომ საერთოდ რუსეთის მასშტაბით საბჭოთა ხელისუფლება ჩქარა დაეცემოდა და საქართველო კვლავ მოიპოვებდა თავის დამოუკიდებლობას, რატომღაც მეტის მეტად ზერელედ უყურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების „საქმიანობას".[66]

სიმონ გოგიბერიძე ეხება 1924 წლის აჯანყების გამომწვევ ძირითად მიზეზებს, რომელიც, მისი აზრით, შემდეგში მდგომარეობდა: 1. დამოუკიდებლობის დაკარგვა; 2. საბჭოთა ხელისუფლების მიერ კოოპერატივების ხელში ჩაგდება და იქიდან ხალხის მიერ არჩეული პირების განდევნა და დაპატიმრება; 3. მიწის საკითხის სადემაგოგიოდ გამოყენება; 4. სკოლების კომუნიზმის მქადაგებელ დაწესებულებად გადაქცევის მცდელობა და ამ მიზნით დამსახურებული პედაგოგების სკოლებიდან განდევნა და დაპატიმრება და მათი ჩანაცვლება „კომსომოლებით"; 5. ეკლესიების ხელყოფა, მღვდლების შეურაცხყოფა; 6. ხალხის ძალით გაყვანა შარა-გზების სამუშაოებზე, სადაც მათ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამუშავებდნენ.[67]

სიმონ გოგიბერიძე დეტალურად საუბრობს გურიაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებულ პოლიტიკურ რეპრესიებზე, პოლიტიკური ორგანიზაციების ანტისაბჭოთა მუშაობაზე, გურიაში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყებისათვის მზადებაზე და აჯანყების მიმდინარეობაზე.

სიმონ გოგიბერიძე ეხება გურიაში 1924 წლის აჯანყების მარცხის მიზეზებს, რაც გამოიხატებოდა როგორც N1 გეგმის, ასევე, N2 გეგმის შეუსრულებლობაში.[68]

---

[66] სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991, გვ. 12-13.
[67] სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991, გვ. 14-17.
[68] სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991, გვ. 90-91.

საქართველოს ეროვნული არქივი

სიმონ გოგიბერიძე დამარცხებულ ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებით ქართველი ერის დამოკიდებულებას უსვამს ხაზს და აღნიშნავს: „ჩემი იქ ყოფნის დროს ბევრი ძმური, ამხანაგური თუ მამაშვილური საყვედური მომისმენია ჩვენი ხელმძღვანელობის მიმართ, მაგრამ არასოდეს ამ საყვედურებს ლანძღვა-გინების ხასიათი არ მიუღია. არასოდეს ხალხს მათთვის ზურგი არ უქცევია და მათი ნდობა არ დაუკარგავს! მოწინააღმდეგის წინაშე ხალხი თვით ცდილობდა მათი გამამართლებელი საბუთების მონახვას!“[69]



სიმონ გოგიბერიძე თვლის, რომ მარცხის მიუხედავად „ჩვენი მომავალი ბრწყინვალეა, რომ საქართველო მიიღებს იმას, რისიც ღირსია ის...“[70]

ეროვნულ-დემოკრატმა **სოლომონ ზალდასტანიშვილმა** 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი ნაშრომი[71] საფრანგეთში 1938 წელს გამოსცა, ანუ აჯანყებიდან 14 წლის შემდეგ. როგორც წინათქმაში ავტორი აღნიშნავს, მისი მიზანია გაარკვიოს „რა იყო სწორი და რა იყო მცდარი, ან და, რა არის უდავო და რა დარჩება სადავო“.[72] შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა დასახულ მიზანს მიაღწია. ამასთან, ავტორი სიფრთხილის გამო იძულებულია ცალკეული პიროვნებები არ დაასახელოს, რათა მათ გარკვეული ხიფათი აარიდოს.[73]

სოლომონ ზალდასტანიშვილი თხრობას იწყებს იმ წინაპირობებით, რამაც მიიყვანა ქართველი ერი მასშტაბურ ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებამდე.

ნაშრომში მოცემულია აჯანყების მომზადება-მოწყობის, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყველაზე აქტიური წევრების როლი და მოღვაწეობის საკმაოდ მკაფიო სურათი.

სოლომონ ზალდასტანიშვილი გადმოგვცემს აჯანყების თარიღის გადადებასთან დაკავშირებით ქაქუცა ჩოლოყაშვილის უარყოფით პოზიციას (იგულისხმება 17 აგვისტოს დანიშნული აჯანყება). „ქაქუცა დარწმუნებული იყო, რომ ერთ ღამეში რუსებს თბილისიდან გარეკავდა, მაგრამ როცა შევატყობინე სინამდვილე, ქაქუცას გული გაუფუჭდა, დაღონდა, გეგმის შეცვლა არ ესიამოვნა, აჯანყების გადადებამ

[69] სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991, გვ. 10-11.
[70] სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991, გვ. 92-93.
[71] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989.
[72] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 6.
[73] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 5.

საქართველოს ეროვნული არქივი

კიდევ ააღელვა. ბოლოს იძულებული იყო „დამკომს“ და მთავარ-სარდლის დადგენილებას დამორჩილებოდა...“[74]

სოლომონ ზალდასტანიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ უნდობლობაზე, რომელიც ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის სუფევდა, რასაც საქართველოს საგანგებო კომისია ყოველნაირად უწყობდა ხელს.[75]

სოლომონ ზალდასტანიშვილი აჯანყების მოსამზადებელ სამუშაოებს დადებითად აფასებს, თუმცა შემდგომ ნაბიჯს კი უვარგისს უწოდებს. აჯანყების დამარცხების მიზეზებზე საუბრისას ის რამდენიმე ფაქტორს გამოყოფს:

1. „მეთაურთა შორის არავინ გამოჩნდა ისეთი ძლიერი პიროვნება, რომელიც შესძლებდა მოქმედების ინიციატივა გამოეჩინა და მოძრაობისათვის გაბედულად ეხელმძღვანელა“.[76]

2. „საერთო მუშაობის დროს ვიწრო პარტიული ინტერესები სჭარბობდნენ საერთო ეროვნულზე“.[77]

3. საკითხები ჯერ პარტიებში წყდებოდა და შემდეგ გადადიოდა დამკომში განსახილველად. ამის გამო დამკომი ხელ-ფეხშეკრული იყო.

4. ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებში გარკვეული გავლენა ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც არ ემხრობოდნენ აჯანყების იდეას.[78]

წარმატების მიღწევის წინაპირობად მას ვიწრო პარტიულ, კუთხურ, წოდებრივ და კლასობრივ ინტერესებზე უარის თქმა და ეროვნული იდეალებისთვის გაერთიანება მიაჩნდა.[79]

ამდენად, სოლომონ ზალდასტანიშვილი ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემისას თავისუფალია ყოველგვარი ტენდენციურობისაგან და ამის ფონზე მკითხველი საზოგადოების წინაშე წარმოჩინდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მიუკერძოებელი მსაჯული მის თანამედროვეთა შორის 1924 წლის აჯანყების შეფასებისას.

XX საუკუნის 30-იან წლებში სოლომონ ზალდასტანიშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა 1924 წლის აჯანყების მარცხის მიზეზებს („მთავარი მიზეზი აგვისტოს აჯანყების მარცხისა“). მისი აზრით მარცხის მიზეზები იყო შემდეგი:

- აჯანყების მოსამზადებელი საგარეო, დიპლომატიური მუშაობისთვის უნდა ეზრუნა ემიგრაციაში მყოფ სათანადო ორგანოებს, სინამდვილეში კი ამ სამუშაოს ორი პირი ასრულებდა;

- ვალიკო ჯუღელის დაპატიმრებამ გამოიწვია აჯანყების გეგმის შეცვლა და მისი არახელსაყრელ პირობებში დაწყება;

---

[74] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 33.
[75] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 34.
[76] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 42.
[77] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 43.
[78] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 44.
[79] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, თბილისი, 1989, გვ. 44.

საქართველოს ეროვნული არქივი

- ჭიათურაში აჯანყება დაგეგმილზე 24 საათით ადრე მოხდა, რამაც საბჭოთა ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა უფრო ადვილად გასწორებოდა აჯანყებულებს.

- თბილისი აჯანყებულებს ორი მხრიდან უნდა აეღოთ: მანგლისიდან და ვაზიანიდან, თუმცა ვაზიანში არაფერი გაკეთდა ამ გეგმის შესასრულებლად.

გარდა ამისა, სოლომონ ზალდასტანიშვილი საჭიროდ მიიჩნევს აჯანყების მარცხის მიზეზების გამოსავლენად საგარეო ფაქტორის სრულყოფილად შესწავლის აუცილებლობასაც.

სოციალ-დემოკრატი **ვალიკო ჩუბინიძე** თავის ნაშრომში[80] დეტალურად აღწერს ჭიათურაში 1924 წლის აჯანყებისათვის მზადებას, აჯანყების მიმდინარეობას და დამარცხებას. ავტორი უშუალო მონაწილეა აღწერილი ამბების, ამიტომაც ნაშრომს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს 1924 წლის აჯანყების შესწავლის თვალსაზრისით.

ვალიკო ჩუბინიძე დეტალურად აღწერს აჯანყების დამარცხების შემდეგ შორაპნის მაზრაში დაპატიმრებული ეჭვმიტანილების მუხანათურად ვაგონებში ჩაცხრილვის ფაქტს. ნაშრომში მოცემულია დახვრეტილთა სიებიც, რაც დასტურდება საარქივო მასალითაც.[81]

პარიზში 1924 წლის აჯანყების მეთერთმეტე წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში ეროვნულ-დემოკრატმა **შალვა ამირეჯიბმა** 1924 წლის აჯანყება შემდეგნაირად დააახასიათა: „აგვისტოს აჯანყება იყო დაჩაგრული ერის ამხედრება მჩაგვრელთა წინააღმდეგ, საქართველოსი – რუსეთის“.[82]

ბერლინის ქართველთა კოლონიაში 1940 წელს წაკითხულ მოხსენებაში შალვა ამირეჯიბმა ისაუბრა 1924 წლის აჯანყების მნიშვნელობაზე და განაცხადა: „აგვისტოს აჯანყებამ, მართალია ახალი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შვა, იგი დამარცხდა, მაგრამ მან შვა ახალი სულიერი საქართველო“.[83]

ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი **ალექსანდრე სულხანიშვილი** 1924 წლის აჯანყების დამარცხების მთავარ მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებს: 1) ვ. ჯუღელის და სხვათა ჩამოსვლა საზღვარგარეთიდან, რამაც განაპირობა მთავრობის ყურადღების კიდევ უფრო გამძაფრება; 2) ნაადრევი გამოსვლა ჭიათურაში; 3) აჯანყებულთა მიერ თბილისის დატოვება, რამაც მთავარსარდალი ფაქტობრივად უფუნქციოდ აქცია.[84]

ალექსანდრე სულხანიშვილი მეორე ნაშრომში „ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს“ ჭიათურის ერთი დღით ადრე გამოსვლის მიზეზად სოციალ-დემოკრატ

---

[80] ვალიკო ჩუბინიძე, მოგონება, წიგნი მეორე, პარიზი, 1953.

[81] ვალიკო ჩუბინიძე, მოგონება, წიგნი მეორე, პარიზი, 1953, გვ. 376-379.

[82] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №18, 4 მაისი, გვ. 7.

[83] შალვა ამირეჯიბი, წიგნი მეორე, თბილისი, 1998, გვ. 149-150.

[84] ა. სულხანიშვილი, რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე, სან-ფრანცისკო, 1985, გვ. 26.

საქართველოს ეროვნული არქივი



შალვა ბერიშვილის და მისი თანამოაზრეების მიერ ჭიათურის მანგანუმის წარმოების მუშათა კასის ხელში ჩაგდების სურვილს ასახელებს.[85]

თუმცა, ვფიქრობთ, რომ ავტორი გარკვეულ ტენდენციურობას ამჟღავნებს და სურს აჯანყების მარცხში სოციალ-დემოკრატები დაადანაშაულოს.

1927 წელს პარიზში დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატ **ირაკლი წერეთლის** წიგნი „ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი“.[86] ირაკლი წერეთელი სვამს კარდინალურ კითხვას: „როდესაც ერს თავს ესხმიან, მისი პირდაპირი თავდაცვის საშუალება არის შეიარაღებული წინააღმდეგობა, ომი. მაგრამ რა გზას უნდა დაადგეს ხალხი, რომელიც ასეთ ომიდან დამარცხებული გამოვიდა, რადგან მტერი მაზე გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ამ მტერთან შეიარაღებულ შეტაკებაში ის განმარტოებული დარჩა? როგორი საშუალებით უნდა განაგრძოს ბრძოლა დაპყრობილმა ან უფლება-შეზღუდულმა ერმა?“[87]

ირაკლი წერეთლის აზრით მეგობარი სოციალისტები ყოველთვის აფრთხილებდნენ მას, რომ ევროპის რეალურ დახმარებაზე იმედების აგება არ იყო გამართლებული. ეს ნათლად დადასტურდა თუნდაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროს (რუსეთმა დაიპყრო მის მიერ დე იურედ აღიარებული სახელმწიფო). ამ დროს ევროპის არც ერთ მთავრობას, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებული ჰქონდა, დიპლომატიური პროტესტიც კი არ განუცხადებია. სამწუხაროდ, საქართველოს განთავისუფლების საკითხი აქტიური დიპლომატიური ბრძოლის საგნად ვერ იქცა. უფრო მეტიც, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მთელი ძალისხმევა იქითკენ იყო მიმართული, რომ ევროპის სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა უკან არ წაეღოთ.[88]

ირაკლი წერეთლის აზრით აჯანყება თავიდანვე განწირული იყო,[89] ამიტომ, ის გარკვეულწილად ადანაშაულებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (მ), რომელმაც არ გაითვალისწინა სამხედრო მეთოდებით ბრძოლის შეუფერებლობა

[85] ა. სულხანიშვილი, „ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს, სან-ფრანცისკო, 1987, გვ. 9-10.
[86] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927.
[87] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 5-6.
[88] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 20-21.
[89] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 26

საქართველოს ეროვნული არქივი

და ეს ხალხს არ აუხსნა: „ვინ იცის, იქნებ აეცდინა ხალხისთვის უიმედო პირობებში გამოსვლა, რომელსაც საქართველოს საუკეთესო ძალები ემსხვერპლა“ - აცხადებს ირ. წერეთელი.[90]

ირაკლი წერეთლის თქმით, კრიტიკულ მომენტში ევროპის მთავრობების მხრიდან დიპლომატიური გამოქომაგების სურვილი უშედეგო აღმოჩნდა. მცირე გამონაკლისს წარმოადგენდა ერთა ლიგა, რომელმაც საქართველოსთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო.[91]

როგორი უნდა იყოს საქართველოს გათავისუფლებისთვის მებრძოლთა ტაქტიკა? - კითხულობს ირაკლი წერეთელი და თვითონვე პასუხობს: „რაც უფრო მოვაშორებთ ჩვენს იდეოლოგიას ყოველ სამხედრო დახმარების ოცნებებს, რომელსაც სინამდვილეში საფუძველი არა აქვს, მით უფრო სერიოზულ სახეს მივცემთ ჩვენს საქმეს ევროპის ყველა წრის თვალში“.[92]

ამდენად, სოციალ-დემოკრატი ირაკლი წერეთელი მართალია 1924 აჯანყებას ეროვნულს უწოდებს, თუმცა ბრძოლის არჩეული ტაქტიკა, რომელიც სამხედრო გზით საქართველოს გათავისუფლებას გულისხმობს, მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია. მისი აზრით, ქართველი ერის ხსნა მდგომარეობს თითოეულ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის ზრდაში და საერთაშორისო დემოკრატიის გაერთიანებული მოძრაობის გაძლიერებაში.[93]

ეროვნულ-დემოკრატმა **გრიგოლ ვეშაპელმა** 1925 წელს პარიზში გამოაქვეყნა მცირე მოცულობის ნაშრომი „აჯანყების შემდეგ“, რომელშიც ის 1924 წლის აჯანყებას „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საშინელ ავანტიურას უწოდებს.[94] გრიგოლ ვეშაპელს მცდარად მიაჩნია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მასთან ალიანსში მყოფი პარტიების ანტიბოლშევიკური ფრონტის პოლიტიკა, რომელმაც საქმე შეიარაღებულ აჯანყებამდე მიიყვანა. ამიტომაც, მისი აზრით, უნდა მოხდეს როგორც ამ პოლიტიკის, ასევე საქართველოში და ემიგრაციაში არსებული ორგანიზაციების ლიკვიდაცია.[95]

გრიგოლ ვეშაპელის აზრით ანტისაბჭოთა ძალებმა „წინდაწინვე წაგებულ და ქვეყნისათვის დამღუპველ საქმეს“ შეალიეს მთელი ძალა და ენერგია, არადა შესაძლებელი იყო „საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან თავიდანვე პატიოსნად თანამშრომლობა“.[96] თუმცა გრ. ვეშაპელი დუმს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მთელ ქვეყანაში განხორციელებულ სასტიკ რეპრესიებზე.

---

[90] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 27.
[91] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 37-38.
[92] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 36.
[93] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 39.
[94] გ. ვეშაპელი, აჯანყების შემდეგ, პარიზი, 1925, გვ. 5.
[95] გ. ვეშაპელი, აჯანყების შემდეგ, პარიზი, 1925, გვ. 5.
[96] გ. ვეშაპელი, აჯანყების შემდეგ, პარიზი, 1925, გვ. 13.

საქართველოს ეროვნული არქივი

გრიგოლ ვეშაპელი ანტისაბჭოთა ძალებს მოუწოდებდა ეღიარებინათ საბჭოთა მთავრობა საქართველოს მთავრობად[97], ხოლო ემიგრანტებს კი საქართველოში დაბრუნებას ურჩევდა. მისი თქმით, საქართველოში დაბრუნებულ ემიგრანტებს ევროპაში შეთვისებული ცოდნა და გამოცდილება თავიანთი ქვეყნისთვის უნდა მოეხმარებინათ.[98]



საბჭოთა სპეცსამსახურებთან ალიანსში მყოფმა გრიგოლ ვეშაპელმა (ვეშაპიძემ) 1924 წლის ნოემბერში პარიზში გამოსცა გაზეთი „ახალი საქართველო“ (მოგვიანებით გაზეთი ბერლინში იბეჭდებოდა, გაზეთს საბჭოთა ხელისუფლება აფინანსებდა). ამ გაზეთში ის სისტემატიურად ბეჭდავდა იმ ახალგაზრდების განცხადებებს, რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე დგებოდნენ. აღსანიშნავია, რომ გაზეთი „კომუნისტი“ გრ. ვეშაპელის ცალკეული სტატიების გადმობეჭდვას ახდენდა.

1928 წელს თბილისში ცალკე წიგნად დაიბეჭდა გრიგოლ ვეშაპელის მიერ 1924-1926 წლებში გაზეთ „ახალ საქართველოში“ დაბეჭდილი წერილები. აღნიშნულ წერილებშიც გრიგოლ ვეშაპელი იგივე თვალსაზრისს ავითარებს. 1924 წლის აჯანყებაზე ის წერს: „ქართველობა ეთამაშა ამ აჯანყების იდეას ისე, როგორც ბავშვი თოფს“.[99]

გრიგოლ ვეშაპელს საბჭოთა კავშირი წარმოედგინა „შეერთებულ შტატებად“, სადაც თანასწორი ფედერატობა საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტი იქნებოდა.[100]

გრიგოლ ვეშაპელი ეხება 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესს და თვლის, რომ ამით დასრულდა საბჭოთა საქართველოში სამოქალაქო ომი და მშვიდობიანი ერა დაიწყო.[101]

გრიგოლ ვეშაპელის მეტამორფოზას და გაზეთ „ახალი საქართველოს“ დაარსებას ბოლშევიკი ლევან ღოღობერიძე „გამბედაობას“, „პოლიტიკურად საღ და გაბედულ კურსს“ უწოდებდა.[102]

---

[97] გ. ვეშაპელი, აჯანყების შემდეგ, პარიზი, 1925, გვ. 16.
[98] გ. ვეშაპელი, აჯანყების შემდეგ, პარიზი, 1925, გვ. 18.
[99] გრიგოლ ვეშაპელი, ახალი საქართველო, წერილების კრებული, 1924-1926, თბილისი, 1928, გვ. 22.
[100] გრიგოლ ვეშაპელი, ახალი საქართველო, წერილების კრებული, 1924-1926, თბილისი, 1928, გვ. 24.
[101] გრიგოლ ვეშაპელი, ახალი საქართველო, წერილების კრებული, 1924-1926, თბილისი, 1928, გვ. 93.
[102] ლევან ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბილისი, 1927, გვ. 18.

საქართველოს ეროვნული არქივი

გრიგოლ ვეშაპელის საქმიანობამ სერიოზული პროტესტი გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში. 1926 წლის 10 ივნისს, პარიზში გრიგოლ ვეშაპელი რამდენიმე გასროლით მოკლა ავთანდილ მერაბაშვილმა.

ამდენად, გრიგოლ ვეშაპელის თვალსაზრისი 1924 წლის აჯანყების შეფასებასთან დაკავშირებით ერთი-ერთში ემთხვეოდა საბჭოთა პოლიტიკური ლიდერებისა და საბჭოთა ისტორიკოსების თვალსაზრისს (ტერმინი „ავანტიურა“).

1936 წელს სოციალ-დემოკრატმა **ვლასა მგელაძემ** პარიზში დაბეჭდა მცირე მოცულობის ნაშრომი „რუსეთის მობრუნება საქართველოში“. ნაშრომში საუბარია 1924 წლის აჯანყებამდე საქართველოში არსებულ მძიმე ვითარებაზე, პოლიტიკური პატიმრების დახვრეტაზე და სხვა. ვლასა მგელაძე, რომელიც თვითონაც იღებდა მონაწილეობას 1924 წლის აჯანყებაში, ნაშრომს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „... სასოწარკვეთილებამდე მიყვანილმა მაინც გაბედა საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა: იარაღს მოკიდა ხელი და 1924 წელს აგვისტოს 28-ს საერთო აჯანყება დაიწყო...“[103]

ამდენად, ვლასა მგელაძეს მიაჩნია, რომ 1924 წლის აჯანყება სავსებით კანონზომიერი იყო, თუმცა აჯანყებას ის საბედისწერო ნაბიჯს უწოდებს.



1961 წლის ნოემბერში, პარიზში, ჭიათურის აჯანყების ხელმძღვანელის სოციალ-დემოკრატ გიორგი წერეთლის ძეგლის გახსნის დღეს, მეგობრულ ვახშამზე სიტყვა გრიგოლ წერეთელმა წარმოთქვა. გრ. წერეთელი მრავალ საგულისხმო საკითხს შეეხო, მათ შორის ჭიათურაში ნაადრევად აჯანყების დაწყების საკითხს, რომელიც თითქოს აჯანყების დამარცხების მიზეზი გახდა. როგორც გრიგოლ წერეთელი აღნიშნავდა, საქართველოს საგანგებო კომისიაში აჯანყების შესახებ ყველაფერი იცოდნენ, აჯანყება წინასწარ გაყიდული იყო, დახმარების ხელს აჯანყებულებს არავინ გამოუწვდიდა. აჯანყებულებს არცერთი დიდი ქალაქის აღების შანსი არ ჰქონდათ. აჯანყებას რომც გაემარჯვა დროებით, ანგარიშსწორებისას საქართველოს იგივე ბედი ელოდა, რაც უნგრეთს დაემართა.[104]

გრიგოლ წერეთელი იმოწმებს შესაბამის ადგილს თავად გიორგი წერეთლის მოგონები-

[103] ვლასა მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბილისი, 1991, გვ. 51.
[104] გრიგოლ წერეთელი, გიორგი წერეთლის ხსოვნისათვის. განსვენებული გიორგი წერეთელი და ზოგიერთი მოსაზრება 1924 წლის აჯანყების ბედზე, პარიზი, 1961, გვ. 7-8.

საქართველოს ეროვნული არქივი

დან, სადაც ჭიათურაში ნაადრევი გამოსვლის საკითხია განხილული[105]. გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამიტომაც ამონარიდს ვრცლად მოვიტანთ:

„25 აგვისტოს, ორ საათზე მოხდა ჭიათურის დამკომის კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა წევრები. მათ მოხსენდათ მდგომარეობა, ჭიათურის სოც-დემოკრატიული კომიტეტის გადადგმული სასწრაფო ნაბიჯები. დაისვა კითხვა მოქმედების **დაწყების დროს შესახებ**... კრებას წარუდგინე გაზეთი „კომუნისტი", რომლის პირველ გვერდზე, სადაც აწერია დიდი ასოებით „კომუნისტი", მის ზემოდან ეწერა **„28 აგვისტო ნაშუაღამევის 2 საათი",** ხოლო მეორე გვერდზე ეწერა **„იწყება ქეიფი",** ე. ი. აჯანყება.

ამრიგად კრებას მოხსენდა მთავარი დამკომის ეს „პაროლი", და ნიშანი მოქმედების დაწყების. გაზეთი და ცნობა კი გადმომცა 1924 წლის 24 აგვისტოს იქნებოდა ნაშუადღევის ორი საათი, თბილისში, ფოსტის პირდაპირ, წყნეთის ქუჩის დასაწყისში, - გერმანე ღლონტმა... როგორ უნდა იქმნას გაგებული ნაშუაღამების ორი საათი? ყველამ ილაპარაკა, საბოლოვოთ კრებამ მიიღო **ა. გ**-ს ნათქვამი: დღე და ღამეს აქვს 24 საათი, დღე თავდება 12 საათზე, მეორე დღე იწყება პირველზე. **სხვა ნაშუაღამების ორი საათი არ არსებობს.** ამნაირათ მოქმედება იწყება 28 აგვისტოს ნაშუაღამეს. ამ კრებას დაესწრო ვალიკო ჩუბინიძე... რომ ღლონტის მიერ გადმოცემული ცნობა 28 აგვისტო სწორი იყო, ამას ადასტურებს ის, რომ გურიამაც ასეთი ცნობა მიიღო. შემდეგ გამოირკვა, (კ. ქ-ძე), რომ ცვლილება დროს შესახებ ზესტაფონისთვის გადმოუციათ, მაგრამ ჩვენ ეს ცნობა არ მიგვიღია...

ყველა ნათქვამის სისწორეში პასუხისმგებელი ვარ, როგორც ქართველი ხალხის, ისე ისტორიის წინაშე".[106]

აჯანყების თარიღის ერთი დღით გადაწევა საარქივო მასალებით არ დასტურდება. თან გურიაში, ჭიათურისგან განსხვავებით, აჯანყება ერთი დღით ადრე არ დაწყებულა. გიორგი წერეთელი კარგად გრძნობდა იმ პასუხისმგებლობას, რაც დაეკისრა მას აჯანყების ნაადრევად დაწყების გამო და ამიტომაც ის თავის მართლების რეჟიმში იყო.

სპირიდონ კედიას მეუღლის **სოფიო ჩიჯავაძე-კედიას** ნაშრომი „ნასმენ-ნახული", ბევრ სხვა საკითხთან ერთად, 1924 წლის აჯანყებასაც ეხება. ავტორი აღწერს აჯანყების დამარცხების შემდეგ თბილისში არსებულ სიტუაციას, როდესაც ქუჩაში ორი ადამიანის ერთად დანახვისთანავე ჩეკისტები ეუბნებოდნენ: „რაზაიდის" - გაშორდით ერთმანეთსა ო" - ტირილის ნებას არავის აძლევენ".[107]

---

[105] გიორგი წერეთელს „ცაცას გიორგის" ეძახდნენ.

[106] გრიგოლ წერეთელი, გიორგი წერეთლის ხსოვნისათვის. განსვენებული გიორგი წერეთელი და ზოგიერთი მოსაზრება 1924 წლის აჯანყების ბედზე, პარიზი, 1961, გვ. 5-6.

[107] სოფიო ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, პარიზი, 2002, გვ. 376.

საქართველოს ეროვნული არქივი



2013 წელს გამოქვეყნდა **ტიერი ბერიშვილის** ნაშრომი „1924. ეროვნული აჯანყება საქართველოში“.[108] ტ. ბერიშვილი აჯანყებას ეროვნულს უწოდებს, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე დღით გაათავისუფლა ქვეყნის ნახევარი...[109]

ამდენად, ემიგრანტულ ქართულ ისტორიოგრაფიაში 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით აზრი სამ ნაწილად გაიყო:

1. აჯანყება ეროვნულ ხასიათს ატარებდა, თუმცა აჯანყების მიმდინარეობისას დაშვებული იყო გარკვეული შეცდომები (ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, შ. ამირეჯიბი და სხვები);

2. აჯანყება მართალია ეროვნულ ხასიათს ატარებდა, თუმცა ის თავიდანვე განწირული იყო. შეცდომას წარმოადგენდა აჯანყებულთა ტაქტიკა (სამხედრო გზით წარმატების მიღწევა) და ის მომავალში უნდა გადასინჯულიყო (ირაკლი წერეთელი);

3. აჯანყება წმინდაწყლის ავანტიურას წარმოადგენდა (გრიგოლ ვეშაპელი). საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც დაცული იყო თითოეული ადამიანის უფლებები.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ემიგრანტულ ისტორიოგრაფიაში, ფაქტიურად, აისახა ის წინააღმდეგობა, რაც ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ზოგადად არსებობდა.

როგორც ვხედავთ, ემიგრანტულ ქართულ ისტორიოგრაფიაში, მცირე გამონაკლისების გარდა, უმრავლესობა ერთ აზრზე იყო და 1924 წლის აჯანყებას ეროვნულს უწოდებდა.

[108] ტიერი ბერიშვილი, 1924. ეროვნული აჯანყება საქართველოში, პარიზი-თბილისი, 2013.
[109] ტიერი ბერიშვილი, 1924. ეროვნული აჯანყება საქართველოში, პარიზი-თბილისი, 2013, გვ. 11-12.

საქართველოს ეროვნული არქივი

დასავლური ისტორიოგრაფია

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ევროპაში. 1924 წლის სექტემბერში ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ, საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის დელეგაციების წინადადებით, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. რეზოლუცია შემუშავებული იყო დებრუკერის მიერ, რომელმაც ერთა ლიგის ტრიბუნიდან შემდეგი სიტყვით მიმართა ქართველს ერს:

„ნება მომეცით, - რადგან საქართველოში გაიგებენ ყოველივეს, რაც აქ მოხდა - ორიოდე სიტყვით მივმართო ჩემს მრავალ ქართველ მეგობრებს და დაბეჯითებით მივუთითო მათ იმ ფაქტზე, რომ ამ კრებაზე შემოტანილი რეზოლიუცია შეიცავს მათ მიმართ არა მარტო დაპირებას, არამედ აგრეთვე რჩევასაც; ის მათ ეუბნება: არსებობს ერთა ლიგა; მას შემოაქვს მეთოდი, რომელიც ჯერ ნაკლოვანი და არასრულია, მაგრამ წარმატების გზაზეა და თანდათან მეტ განმავლობას პოულობს, - ესაა მეთოდი საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტისა გარეშე იარაღის უხეში ძალის ხმარებისა. ის გიხსნით თქვენ იმედის კარებს. და აი, ვინაიდან ეს იმედი არსებობს თქვენთვის, ვინაიდან თქვენ იცით, რომ დადგება ჟამი სამართლიანობისა, რომელსაც თქვენ მოითხოვთ, შესძელით ახლა თავის შეკავება სასოწარკვეთილებით ნაკარნახევ ნაბიჯებიდან. უდროოთ გამოსვლას და ძალის ხმარებას შეუძლია მხოლოთ უფრო საშინელ უბედურობამდი მიგიყვანოსთ. შესძელით ამისგან თავის შეკავება, შეინახეთ მხოლოთ გულის სიღრმეში ცეცხლი, ანთებული თავისუფლებისათვის. შესძელით მოცდა იმედით“.[110]

ერთა ლიგის მიერ მიღებული რეზოლუცია თხოვდა ლიგის წევრ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს „მიიღონ მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში, მიაწოდონ ინფორმაცია და გარემოებებისა და საშუალების მიხედვით დაეხმარონ თავის მშვიდობიანი გავლენით“.[111]

ერთა ლიგის მიერ მიღებულ რეზოლუციას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი გამოეხმაურა. გ. ჩიჩერინის განცხადებით, საქართველოში მომხდარი აჯანყება ბუტაფორული იყო, რომელიც მომზადდა ბურჟუაზიული ქვეყნების შეკვეთით და მხარდაჭერით. გ. ჩიჩერინს ერთა ლიგის მიერ მიღებული რეზოლუცია საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ აქტად მიაჩნდა.[112]

---

[110] ირ. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927, გვ. 38-39.

[111] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 157.

[112] ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), რედ. აკ. როინ მეტრეველი, თბილისი, 2004, გვ. 553-554.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის 28 სექტემბერს ლონდონში სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც სოციალ-დემოკრატი ირაკლი წერეთელი დაესწრო. სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღშფოთება იყო გამოხატული საქართველოში აჯანყების მარცხის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული სასტიკი რეპრესიების გამო. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს თვითგამორკვევის საკითხი ინტერნაციონალისთვის პრიორიტეტული იყო, ისევე როგორც ადრე პოლონელი ერის დაცვა. რეზოლუცია ყველა სოციალისტურ პარტიას მოუწოდებდა ენერგიულად ებრძოლა საქართველოდან რუსეთის წითელი ჯარის გასაყვანად და საქართველოში რეფერენდუმის ჩასატარებლად.[113]

საბჭოთა რეჟიმის მიერ აჯანყების სასტიკი მეთოდებით ჩახშობის ფაქტი ინგლისში იმ ხელშეკრულების რატიფიკაციის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს, რომელიც ინგლისსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1924 წლის ზაფხულში გაფორმდა და რუსეთისათვის კრედიტის გამოყოფას ითვალისწინებდა. უინსტონ ჩერჩილმა ლეიბორისტული მთავრობა „ტირანიის დაფინანსების“ განზრახვაში ამხილა და ხაზი გაუსვა, რომ ინგლისი უღირსად მოიქცეოდა, თუ სესხს მისცემდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ამ თანხით იარაღს შეიძენდა ქართველების დასახოცად.[114]

1924 წლის 20 სექტემბერს რიგგარეშე სხდომაზე შეკრებილმა ვარშავის საკრებულომ სპეციალური რეზოლუციით პროტესტი გამოხატა 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის გამო.[115]

საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, პოლონეთის, უკრაინის, თურქეთის, ინგლისის პერიოდულ პრესაში 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი ინფორმაცია დაიბეჭდა, რომელშიც, ზოგიერთ შემთხვევაში, გაზვიადებულად იყო წარმოდგენილი აჯანყებულთა მიერ მოპოვებული წარმატებები.[116]

აღსანიშნავია, რომ უცხოურ პრესაში მხილებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს აჯანყებაში „მცირერიცხოვანი ბანდა“ მონაწილეობდა. დასავლეთის ჟურნალ-გაზეთებმა მკითხველს მიაწოდეს სწორი ინფორმაცია, რომელიც აჯანყების სახალხო ხასიათს ცხადყოფდა.[117]

1924 წლის აჯანყებას შეეხნენ ევროპელი მკვლევარები. ინგლისელი **ჯ. გრეი** მიიჩნევს, რომ „1924 წლის ზაფხულში საქართველოში მომხდარი გლეხთა აჯანყება

[113] კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბილისი, 1991, გვ. 42-43.
[114] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 154.
[115] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 155.
[116] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 148-149.
[117] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 149.

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმის გაფრთხილებად უნდა ქცეულიყო, რომ მსგავსი გამოსვლები სხვაგანაც იყო შესაძლებელი, რადგან საშუალო და უღარიბეს გლეხობას იმედი არ ჰქონდა, რომ მიღებული მიწები შერჩებოდათ, მას მთავრობა არ ეხმარებოდა სამრეწველო საქონლით, მასზე დაწესებული იყო მაღალი ფასები, მათ პროდუქტზე კი, პირიქით – დაბალი. გლეხებს მეურნეობაში არც კაპიტალის დაბანდება შეეძლოთ და სხვა".

1924 წლის აჯანყებას ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა დიდ აჯანყებად მიიჩნევს პროფესორი **ჰიუ სეტონ-უოტსონი.**

აჯანყების გლეხურ ხასიათზე მსჯელობენ აგრეთვე ამერიკელი **როჯერ ნ. ბოლდუინი** და ინგლისელი სოვეტოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის რუსული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ლონდონის ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერების სკოლის საბჭოთა ურთიერთობების განყოფილების წევრი **რობერტ კონქვესტი.**

საქართველოში მომხდარი აჯანყება ნაწილობრივ გლეხურ აჯანყებად მიაჩნია მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორს **რ. გ. სიუნს.**

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორს **ედგარ ჰალეთ კარს** მიაჩნია, რომ აჯანყება ატარებდა როგორც სოციალურ ისე ეროვნულ ხასიათს.

1924 წლის აჯანყების მიზანი **ჯ. კოულის, რიჩარდ პაიპის** (ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი) და **დევიდ მარშალ ლენგის** (ქართველოლოგი) აზრით იყო დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამერიკელი ავტორები **მაიკლ საიერსი** და **ალბერტ კანი** 1924 წლის აჯანყების უმთავრეს მიზეზად ასახელებენ დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ნავთობის ტრესტის - **„Roial Dutch Shell"-ის** უფროსის **სერ ჰენრი ვილჰელმ ავგუსტ დეტერდინგის** დაინტერესებას საბჭოთა კავკასიის ნავთობის საბადოებით. ამიტომაც, ავტორთა აზრით, „შემუშავებულ იქნა საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთში კონტრრევოლუციური ძალებისა და სავინკოვის ტერორისტული ჯგუფის ერთობლივ მოქმედებას. თუკი კონტრრევოლუციური ძალები წარმატებას მოიპოვებდნენ, იმავდროულად დაიწყებოდა სამხედრო აქციები, ლონდონი და პარიზი გააუქმებდნენ საბჭოთა მთავრობას და ბორის სავინკოვს რუსეთის დიქტატორად გამოაცხადებდნენ, იუგოსლავიასა და რუმინეთში დისლოცირებული მოხალისეთა არმიები გადალახავდნენ საბჭოთა საზღვარს, პოლონეთი შეიჭრებოდა კიევში, ფინეთი ალყას შემოარტყამდა ლენინგრადს, კავკასიაში კი – ქართველ მენშევიკთა მომხრეები ჟორდანიას მეთაურობით მოაწყობდნენ აჯანყებას. კავკასია უნდა გამოჰყოფოდა საბჭოთა ქვეყანას და ინგლისისა და საფრანგეთის მფარველობით შექმნილიყო ამიერკავკასიის ფედერაცია, ნავთობის საბადოები და ხაზები დაბრუნებოდა ყოფილ პატრონებსა და უცხოელ პარტნიორებს".

ავტორები **ლეო აფრიკი** და **ლუი კოქე** ნაშრომში „ოქროს ვერძის მემკვიდრეები" უსირცხვილო მონაჭორს უწოდებენ 1924 წლის აჯანყების მიზეზად ბაქოს ნავთობის

საქართველოს ეროვნული არქივი

საბადოებისა და სახელმწიფოს სამრეწველო სარეწავების ხელში ჩაგდების მცდელობას. მათი აზრით, ზემოთ მოყვანილი მოსაზრების ინიციატორი რუსეთის საგანგებო კომისია იყო.[118]

ერიხ ობსტი, რომელიც 1924 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა საქართველოში, 1924 წლის აჯანყებას ეროვნულს უწოდებს და აცხადებს:

„რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ 1924 წელს... მომხდარი აჯანყება იყო უმთავრესად ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, არა მარტო საბჭოთა სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული“.[119]

1927 წელს პარიზში დაიბეჭდა **რემონ დიუგეს** წიგნი „მოსკოვი და წამებული საქართველო“, რომელიც 1994 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნეს და გამოსცეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა. წიგნს უძღვის პოლკოვნიკ ჟ. სტოკის წინათქმა, სადაც მან რემონ დიუგეს ნაშრომს „საინტერესო და ჭკუის მასწავლებელი ნარკვევი“ უწოდა. სტოკი ასევე საუბრობს იმაზე, თუ რატომ დათანხმდა ავტორს წინათქმის გაკეთებაზე:

„შესაძლებლობა მქონდა საქართველოში თავად მეხილა იმ მოვლენათა უმრავლესი ნაწილი, რომელსაც ეს წიგნი გვიამბობს. მეორედ კი იმიტომ, რომ მუდამ ძალიან მაღელვებდა და მაინტერესებდა საქართველოს სვე-ბედი და ჭირ-ვარამი“.[120]

რემონ დიუგე აღნიშნავს, რომ მან შეაგროვა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე ქართველ პატრიოტთა ნაამბობი და გადმოსცა ამ ნაშრომში. ავტორი საუბრობს წითელარმიელთა დაუნდობლობაზე: „რუსეთიდან მოსული და ძირითადად რუსებისაგან შედგენილი რაზმები მშვიდ და უწყინარ მოსახლეობას სჯის. არ ითვალისწინებენ იმას, რომ ეს მოსახლეობა თავისთვის არის და ამბოხებაში არ მონაწილეობს“.[121]

რემონ დიუგე აღწერს სოფელ ბანძაში მომხდარ შემზარავ ფაქტს: „სოფელ ბანძაში, მაგალითად ჩეკისტების მიერ განსაზღვრული დასახვრეტთა რაოდენობა არ აღმოჩნდა. რაკი 15 კაცი დააკლდათ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს 15 კაცი მოსაძებნია. ასეც მოიქცნენ. ახლო სოფლებში მოაგროვეს და ყველას ერთად მოუსპეს სიცოცხლე“.[122]

---

[118] არჩილ ათანელაშვილი, საქართველოს 1924 წლის აჯანყება უცხოელ მკვლევართა შრომებში.- ჟურნალი „საისტორიო ძიებანი“, III, წელიწდეული, თბილისი, 2000, გვ. 159-164.

[119] ერიხ ობსტი, საქართველო, გეოპოლიტიკური ნარკვევი.- ჟურნალი „ახალი დროება“, 1999, N4, ივნისი-ივლისი, გვ. 35.

[120] რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა, თბილისი, 1994, გვ. 5.

[121] რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა, თბილისი, 1994, გვ. 120.

[122] რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა, თბილისი, 1994, გვ. 120.

საქართველოს ეროვნული არქივი

რემონ დიუგეს აზრით ტყეში გახიზნული ქართველი პატრიოტები ბრძოლას მხოლოდ მაშინ შეწყვეტდნენ, როცა საქართველო გათავისუფლდებოდა.[123]

უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში მომრავლებული სტატიების გამო, რომლებშიც მხილებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოვლენილი სისასტიკე, საბჭოთა ხელისუფლებამ აუცილებლად მიიჩნია კონტრპროპაგანდის გაძლიერება.

1924 წლის ოქტომბრის დასაწყისში, აჯანყების მიზეზების შესასწავლად, საქართველოში გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი **კლარა ცეტკინი** ჩამოვიდა. თბილისის შემდეგ ის 5 ოქტომბერს ჭიათურაში ჩავიდა, სადაც მან მიტინგზე შეკრებილ ხალხს გერმანულ ენაზე მიმართა (მისი სიტყვები იქვე ითარგმნა რუსულ და ქართულ ენებზე). 6 ოქტომბერს კლ. ცეტკინი ბათუმში ჩავიდა, სადაც მშრომელ გლეხთა სახლი, ქართველ მუსულმან ქალთა კლუბი და ქარხნები დაათვალიერა. 7 ოქტომბერს ის ქობულეთში გაემგზავრა, სადაც იგეგმებოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ეს ვერ მოხერხდა.[124]

კლარა ცეტკინმა ნაშრომი, რომელიც საქართველოში მოგზაურობას ასახავს, 1925 წელს, მოსკოვში დაწერა, თუმცა გამოქვეყნდა ათი წლის შემდეგ - 1935 წელს რუსულ ენაზე (კლარა ცეტკინი ამ დროს ორი წლის გარდაცვლილი იყო).[125]

ნაშრომს უძღვის გამომცემლობის წინათქმა, სადაც აღნიშნულია წიგნის მიზანი - პასუხი გასცეს ევროპის მეორე ინტერნაციონალის ლიდერების (ვანდერველდე, რენოდელი, მაკდონალდი და სხვები) „შეშლილ“ კამპანიას, რომელიც მათ აწარმოეს 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით.[126]

ნიშანდობლივია ნაშრომის სათაური - „На Освобожденном Кавказе“. კლარა ცეტკინი თვლის, რომ საბჭოთა რუსეთმა კავკასია გაათავისუფლა. ის საქართველოში მომხდარ აჯანყებას „მენშევიკურ პუტჩისტურ ავანტიურას“ უწოდებს, რომელიც ქართველმა მენშევიკებმა მოაწყვეს დასავლეთის ფინანსური და მორალური მხარდაჭერით.[127]

კლარა ცეტკინი ზუსტად იმეორებს საბჭოთა ლიდერების პოზიციას და აცხადებს, რომ აჯანყება ინგლისელი კაპიტალისტების ინტერესებში შედიოდა, რადგან მათ არ აწყობდათ ინგლისის კაპიტალის საბჭოთა კავშირში შემოდინება, ასევე იმპერიალისტები ცდილობდნენ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის დე იურე ცნობის პროცესი როგორმე შეეფერხებინათ.

კლარა ცეტკინის აზრით, თუ აჯანყება ფართო მასშტაბს მიიღებდა, ბათუმში ინგლისის გემები შემოვიდოდნენ და აჯანყებულებს გარკვეულ დახმარებას გაუწე-

[123] რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა, თბილისი, 1994, გვ. 126.
[124] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 482-483.
[125] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935.
[126] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 3.
[127] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 5-6; 35; 82.

საქართველოს ეროვნული არქივი

ვდნენ. აჯანყების წარმატება მისცემდა დასავლეთის იმპერიალისტებს საშუალებას დაუფლებოდნენ კავკასიაში არსებულ ნავთობის საბადოს და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებს. ეს იქნებოდა იმპერიალისტების ერთგვარი პლაცდარმი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.[128]

კლარა ცეტკინი არ ჩამოუვარდება საბჭოთა ლიდერებს სინამდვილის გაყალბებაში და აცხადებს, რომ მუშათა კლასი არა თუ არ მიემხრო აჯანყებას, პირიქით, ისინი მტკიცედ დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეს. ფაბრიკა-ქარხნის მუშები, მათ შორის ქალები, ითხოვდნენ იარაღს და აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედების უფლებას.[129]

კლარა ცეტკინის აზრით, კომპეტენტურმა მოხელეებმა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, 320 ადამიანი დახვრიტეს. კლ. ცეტკინი დახვრეტილთა ასეთ რაოდენობას ადგილობრივ გლეხებს აბრალებს, რადგან ისინი მოითხოვდნენ პუტჩის მონაწილეების სამაგალითოდ დასჯას.



კლ. ცეტკინი ჩქმალავს სინამდვილეს (ან მას არ მიაწოდეს სწორი ინფორმაცია), როდესაც აცხადებს, რომ ფოთში და გურიაში დახვრეტები საერთოდ არ ყოფილა.[130] ჩვენ ხელთ გვაქვს საარქივო მასალები, საიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ფოთში 8, ხოლო გურიაში კი - 7 აჯანყებული დახვრიტა.[131]

მართალია, კლარა ცეტკინს არ ექნებოდა ხელთ დახვრეტილთა ზუსტი სია, თუმცა ის საქართველოში მომხდარ ვანდალურ ფაქტებს გვერდს უვლის (ვაგონებში ჩაცხრილვა და სხვა) და საერთოდ არ ახსენებს.

კლარა ცეტკინი მასთან სამი შაოსანი ქალბატონის მისვლის ფაქტს ასახელებს. ეს ქალები იყვნენ დახვრეტილი მუშების და გლეხების მეუღლეების, დედების და დების დელეგატები.[132] მათ ცეტკინს გერმანულ ენაზე შედგენილი წერილი გადასცეს, რომელშიც, ცეტკინის აზრით, გაუბედურებული ქალების განწყობა ნამდვილად არ იგრძნობოდა. წერილი, ავტორის აზრით, წარმოადგენდა პოლიტიკურ დოკუმენტს, რომლის მიზანი მისი სა-

[128] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 34.
[129] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 35.
[130] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 38.
[131] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქარტველოში, თბილისი, 2011, გვ. 444-445; 459.
[132] თუ მუშები აჯანყებაში არ მონაწილეობდნენ, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა რატომ დახვრიტეს ისინი?

საქართველოს ეროვნული არქივი

ზღვარგარეთ დაბეჭდვა და ამით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაცია იყო.[133]

დელეგაციის წევრების მიერ კლარა ცეტკინისთვის გადაცემულ წერილში საუბარი იყო, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თბილისში 250 მუშის, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით - 6000-ზე მეტი მუშის და გლეხის დახვრეტაზე.[134]

კლარა ცეტკინის თქმით, მასთან მისული დელეგატები საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) აქტიური წევრები იყვნენ, ერთ-ერთი მათგანი კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილი წევრი გახლდათ.[135] სამწუხაროდ, კლ. ცეტკინი მათ ვინაობას არ ასახელებს.

დელეგაციის მეთაურმა კლარა ცეტკინს განუცხადა, რომ საგანგებო კომისიის ხელმძღვანელობა ძირითადად სომხებით იყო დაკომპლექტებული, მათ კი აჯანყების ინსცენირება მოახდინეს, რათა მთელი საქართველოსთვის ანგარიში გაესწორებინათ. კლარა ცეტკინი ამ ვერსიას მოგონილს უწოდებს.[136]

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კლარა ცეტკინის ნაშრომი დიდად არ განსხვავდება საბჭოთა ისტორიკოსების თვალსაზრისისგან. ის ძირითადად იმეორებს საბჭოთა ლიდერების შეფასებებს.

1924 წლის ოქტომბრის დამდეგს თბილისში ჩამოიყვანეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზეთ „ლუმანიტესა“ და საბჭოთა ცენტრალური გამოცემის, გაზეთ „იზვესტიის“ ლონდონელი კორესპონდენტი ც. დავიდი. „მე ჩამოვედი საქართველოში, რათა შევკრიბო ნამდვილი ცნობები საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ და ამით ბოლო მოვუღო სიცრუის კამპანიას, რომელსაც აწარმოებენ საფრანგეთის პრესის ფურცლებზე რენოდელები და ბლიუმები საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო, თვალი ავუხილო საფრანგეთის მშრომელ მასებს და დავანახო მათ ნამდვილი საქმის ვითარება“, განაცხადა დავიდმა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში. ამდენად, მისი მისიის მიზანი წინასწარვე განსაზღვრული იყო.

ც. დავიდი თბილისიდან პარიზში გაგზავნილ დეპეშაში იტყობინებოდა:

„საქართველოში სრული წესრიგია და ყველაფერი, რასაც იტყობინება საქართველოს შესახებ უცხოეთის რადიო, მტკნარი სიცრუეა“.[137]

საბჭოთა ხელისუფლების ზეგავლენით აქტიურობდა საფრანგეთის კომუნისტების ლიდერი მარსელ კაშენი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ღია წერილი გაზეთ „ლუმა-

[133] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 36.
[134] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 36-37.
[135] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 37.
[136] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 37.
[137] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 152.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნიტეს“ რედაქციისადმი, რომელშიც ის აკრიტიკებს რენოდელს ქართული ემიგრაციის მხარდაჭერისათვის.[138]

საბჭოთა ხელისუფლების პოზიციას იცავდა გერმანიის კომუნისტების მთავარი გაზეთი „როტე ფანე“. გაზეთის მესვეურთა აზრით „ფუქსავატი ავანტიურა საქართველოში ისეთივე კონტრრევოლუციური ნაბიჯია, როგორიც შეიარაღებული ინტერვენცია ჩინეთში“.[139]

გაზეთ „ბერლინელ ტაგებლატში“ დაიბეჭდა პაულ შეფერის წერილი საქართველოს შესახებ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პოზიციას ემთხვეოდა.[140]

1924 წლის 30 ნოემბერს, მოსკოვის ინიციატივით საქართველოში ინგლისის ტრედუნიორთა დელეგაცია ჩამოვიდა **პერსელის** ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ: **ფრედ ბრამლი, ბენ თილეთი, ალენ ფინდლეი, ჰერბერტ სმიტი, ჯონ ბრომლეი, ჯონ თერნერი**.[141] დელეგაციამ საქართველოში სამი დღე დაჰყო. ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე დელეგაციის წევრები აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი იყო ევროპის პრესის მეშვეობით საქართველოს შესახებ გავრცელებული „ტყუილების შეცვლა“.

დელეგაციის ანგარიშში აღნიშნული იყო: „ხალხი კმაყოფილია საბჭოთა სისტემით, ეკონომიკურად ქვეყანა აყვავებულია. აჯანყების დროს მენშევიკებმა დახვრიტეს ბოლშევიკთა მძევალნი“. ამასთან, ანგარიშში ეწერა შემდეგი რამ: „როცა მოსკოვში დავბრუნდით, მთავრობას მოვახსენეთ ჩვენი აზრი საქართველოს შესახებ და განვუცხადეთ, რომ რესპუბლიკის პრესტიჟი მოითხოვს საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანას და იქ ჩეკას მოსპობას“.[142]

1926 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოციალისტურ ინტერნაციონალს და მის ყველა სექციას მემორანდუმი გაუგზავნა, რომელშიც 1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიები დეტალურად იყო აღწერილი. მემორანდუმი მთავრდებოდა მოთხოვნით: შეწყვეტილიყო საქართველოში პოლიტიკური პარტიების წევრების დახვრეტები და მათი საქართველოდან გასახლების პროცესი. მემორანდუმს ინგლისში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მემორანდუმის წინააღმდეგ გამოვიდნენ ტრედუნიორთა წარმომადგენლები: **პერსელი** და **ვოლჰედი**. მათი წერილი გაზეთ

[138] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 152.
[139] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 152.
[140] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 152-153.
[141] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 490.
[142] ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების საერთაშორისო გამოძახილი.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 153.

საქართველოს ეროვნული არქივი

„დეილი ჰერალდში“ გამოქვეყნდა (1926 წლის 17 დეკემბერს). წერილში პერსელი და ვოლჰედი ინგლისელ მუშებს აფრთხილებდნენ არ დაეჯერებინათ მემორანდუმში მოთავსებული ცნობები, სანამ მათ საბოლოო პასუხს მოსკოვის მთავრობა არ გასცემდა. ნოე ჟორდანიამ იმავე გაზეთში (1926 წლის 30 დეკემბერს) პერსელს და ვოლჰედს პასუხი გასცა და ურჩია მათ საქართველოში ჩაეტარებინათ რეფერენდუმი და ამ გზით გამოერკვიათ ქართველი ხალხის ნამდვილი პოზიცია. პერსელის და ვოლჰედის პოზიციას იზიარებდნენ **კოუტსი** (გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“, 1926 წლის 20 და 31 დეკემბერი; გაზეთი „ნიუ ლიდერი“, 1927 წლის 14 იანვარი და 4 თებერვალი) და **ჰუდი** (გაზეთი „დეილი ჰერალდი“, 1927 წლის 6 თებერვალი) და ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში 1924 წლის აჯანყების შემდეგ დახვრეტის არც ერთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მათი თქმით, აჯანყების დროს მძევლად წაყვანილი ტყვეები არა კომუნისტებმა, არამედ სოციალ-დემოკრატებმა დახვრიტეს.

კოუტსა და ჰუდს საკადრისი პასუხი კონსტანტინე გვარჯალაძემ გასცა (გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“, 1926 წლის 24 დეკემბერი და 1927 წლის 4 იანვარი; გაზეთი „ნიუ ლიდერი“, 1927 წლის 18 და 28 იანვარი; გაზეთი „დეილი ჰერალდი“, 1927 წლის 24 იანვარი). კ. გვარჯალაძეს დახვრეტილი აჯანყებულების სიებიც ჰქონდა დამოწმებული და წინადადებას აძლევდა კოუტს: თუ სიებში დასახელებული პირები ცოცხლები იყვნენ კომუნისტებს მათი ადგილსამყოფელი დაესახელებინათ.

საბჭოთა ხელისუფლების მოპატიჟებით საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი მწერალი **ანრი ბარბიუსი,** რომელმაც 1929 წელს საქართველოში მოგზაურობის შესახებ საფრანგეთში წიგნი გამოაქვეყნა. ნაშრომში ავტორი კომუნისტების ინტერესების დაცვას შეეცადა.[143]

1930 წელს ანრი ბარბიუსის წიგნის საპასუხოდ ფრანგულ ენაზე გამოიცა დავით შარაშიძის ნაშრომი „ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო“ (კ. კაუცკის წინასიტყვაობით). ავტორი შეეცადა გაებათილებინა ანრი ბარბიუსის სუბიექტური მოსაზრებები.[144]

როგორც ვხედავთ, დასავლური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს არ უწარმოებიათ სათანადო მეცნიერული კვლევა-ძიება, არ შეუსწავლიათ საქართველოსა და რუსეთის არქივებში დაცული პირველხარისხოვანი დოკუმენტები (ეს იმხანად შეუძლებელი იყო). ყოველივე ამან გარკვეული დაღი დაასვა დასავლურ ისტორიოგრაფიას. ზოგიერთმა ავტორმა თითქმის უცვლელად გაიმეორა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა პოლიტიკური ლიდერებისა და საბჭოთა ისტორიკოსების მიერ წამოყენებული მცდარი დასკვნები და შეფასებები (აჯანყების გლეხურ ანუ სოციალურ ხასიათზე მინიშნება და სხვა). ამასთან ერთად დასავლურმა ისტორიოგრა-

[143] კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბილისი, 1991, გვ. 47-63.
[144] კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბილისი, 1991, გვ. 47-63.

საქართველოს ეროვნული არქივი

ფიამ სავსებით გარკვევით მიანიშნა ზოგიერთ საყურადღებო მოვლენაზე (ნავთობის მომპოვებელი კომპანიების როლი და სხვა).

ამდენად, დასავლურ ისტორიოგრაფიაში 1924 წლის აჯანყების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა, რაც, ცხადია, არ არის გასაკვირი. საბჭოთა ხელისუფლება ინტენსიურად აწარმოებდა ინფორმაციულ ომს და ცდილობდა აჯანყებისათვის ეროვნული შინაარსი ჩამოეცილებინა. ცალკეულ შემთხვევებში ის ამას წარმატებით ახერხებდა. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები ცდილობდნენ სათანადო პასუხი გაეცათ მსგავსი სიყალბისათვის.

საქართველოს ეროვნული არქივი

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია

XX საუკუნის 90-იან წლებში „ბოროტების იმპერიის“ - საბჭოთა კავშირის - დანგრევისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ 1924 წლის აჯანყების შესწავლა-შეფასების საკითხი თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა – მოიხსნა ცენზურა, გაიხსნა არქივები, გაფართოვდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა და შესაბამისად შეიქმნა ხელსაყრელი პირობები დიდი ხნის განმავლობაში არქივებში დაცული უნიკალური დოკუმენტების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ 1924 წლის აჯანყება ერთ-ერთი პოპულარული თემა გახდა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისთვის, შესაბამისად, დაიწერა არაერთი საყურადღებო ნაშრომი. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომების უმეტესობა მდიდარ საარქივო მასალას ეყრდნობა. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ მათ უმეტესობას.

რევაზ გრძელიძე 1924 წლის აჯანყებას ეროვნულს უწოდებს, რომლის მიზანი საბჭოთა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან საქართველოს განთავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.[145]

რევაზ გრძელიძის აზრით, 1924 წლის აჯანყებაში „ქართველი ხალხი მონაწილეობდა განურჩევლად წოდებისა, პარტიულობისა და რწმენისა, მის ბირთვს შეადგენდა ინტელიგენცია, გლეხობა, ყველა ფენის ახალგაზრდობა“.[146]

რევაზ გრძელიძე აქცენტს აკეთებს აჯანყების მარცხის მიზეზებზე, რომელიც მისი აზრით შემდეგში მდომარეობდა:

1. აჯანყება სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით სათანადო დონეზე არ იყო მომზადებული. არ იყო იარაღი, რის გამოც დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული რაზმები არ მოქმედებდნენ და მოძრაობის ავანგარდში უიარაღო ხალხი იდგა. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოში იბრძოდნენ უმთავრესი შეიარაღებული რაზმები, მაგრამ ისინი მცირერიცხოვნობის გამო საოკუპაციო ჯარებს ჯეროვნად ვერ უმკლავდებოდნენ;

2. არ იყო სწორი აჯანყებულთა სამხედრო ტაქტიკა, რომელიც უნდა წარმართულიყო დიდი ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და სხვა) აღებით;

3. ვალიკო ჯუღელის დაპატიმრებამ აჯანყებულთა დეზორგანიზაცია და აჯანყების თარიღის გადაწევა განაპირობა;

4. სერიოზული დარტყმა იყო აჯანყების ერთი დღით ადრე ჭიათურაში დაწყება;

---

[145] რევაზ გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1992, გვ. 30.
[146] რევაზ გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1992, გვ. 5-30.

საქართველოს ეროვნული არქივი

5. აჯანყების მომზადების პროცესში ჭარბობდა ვიწრო პარტიული ინტერესები;

6. 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკური პარტიები ფაქტიურად გაანადგურა;

7. აჯანყება საქართველოს ფარგლებს ვერ გასცდა;

8. აჯანყების პროცესში საქართველო იზოლირებული აღმოჩნდა ევროპის ქვეყნებისგან;

9. აჯანყება არახელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში მოხდა.[147]

მკვლევარ **ნიკოლოზ ბენდელიანის** აზრით 1924 წლის აჯანყება გამოიწვია „საქართველოში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მთელმა რიგმა მიზეზებმა, რომელთა ფესვები უნდა ვეძებოთ აგრარული და ეროვნული პოლიტიკის, რელიგიისა და ეკლესიის სფეროებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ დაშვებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დეფორმაციებში. მნიშვნელოვანწილად აჯანყება გამოიწვია მუშაობის იმ ავტორიტარულმა სტილმა და მეთოდებმა, რომლებსაც აღნიშნული ორგანოები ახორციელებდნენ სოფლად, აგრეთვე ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და სუვერენული უფლებების შელახვამ“.[148]

ნიკოლოზ ბენდელიანი ფაქტოლოგიურ შეცდომას უშვებს, როდესაც „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო კომისიის“ ხელმძღვანელად გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზს ასახელებს.[149] როგორც ვიცით, „სამხედრო კომისია“ სოციალ-დემოკრატებისა (მ) და ეროვნულ-დემოკრატების ორგანო იყო. მას „სამხედრო ცენტრისთვის“ პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. სამხედრო კომისიას ერთი ხელმძღვანელი არ ჰყავდა. სამხედრო კომისიის შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდა, რადგან მის წევრებს საქართველოს საგანგებო კომისია პერიოდულად აპატიმრებდა (ნოე ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი წინამძღვრიშვილი).[150]

ნიკოლოზ ბენდელიანს მიაჩნია, რომ აჯანყების იდეა ნოე ჟორდანიასგან არ მოდიოდა და ამ იდეას ის ნოე რამიშვილის ჯგუფში წარმოშობილად მიიჩნევს ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ. ამ მოსაზრების გასამყარებლად ნიკოლოზ ბენდელიანს ის არგუმენტი მოაქვს, რომ ნიკოლოზ რამიშვილმა ნოე ხომერიკი სასწრაფოდ გამოგზავნა საქართველოში აჯანყების მოსამზადებლად.[151]

---

[147] რევაზ გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1992, გვ. 33-36.

[148] ნიკოლოზ ბენდელიანი, ისტორიოგრაფია საქარველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე, ქუთაისი, 1993, გვ. 57.

[149] ნიკოლოზ ბენდელიანი, ისტორიოგრაფია საქარველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე, ქუთაისი, 1993, გვ. 52.

[150] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 99-100.

[151] ნიკოლოზ ბენდელიანი, ისტორიოგრაფია საქარველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე, ქუთაისი, 1993, გვ. 52.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნიკოლოზ ბენდელიანს აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალად გლეხობა მიაჩნია, თუმცა, მისი აზრით, აჯანყება თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის, რადგან ძალები აშკარად უთანასწორო იყო.[152]

ფარნაოზ ლომაშვილის აზრით 1924 წლის აჯანყება ჭეშმარიტად სახალხო აჯანყება იყო, „მან ნათელყო, რომ ქართველი ხალხი თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არასოდეს არ შეურიგდებოდა და თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოლებდა“.[153]

მკვლევარი **ვალერი ბენიძე** 1924 წლის აჯანყებას ეროვნულ-განმათავისუფლებელს უწოდებს, რომლის გამომწვევი მიზეზები, მისი აზრით, შემდეგი იყო:

1. საქართველო ძალით გასაბჭოვდა;

2. დემოკრატიული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ნაცვლად დამყარდა კრემლის დიქტატორული მმართველობა;

3. საქართველოში დარჩა რუსული საოკუპაციო ჯარი და ფერხდებოდა ეროვნული გვარდიის შექმნა;

4. მიმდინარეობდა ე. წ. „კლასობრივი მტრების“ დევნა;

5. ირღვეოდა სინდისის თავისუფლება და მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრების ძარცვა-დარბევის პროცესი;

6. დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები აგრარული რეფორმის გატარებისა და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას.[154]

ვალერი ბენიძე ეხება აჯანყების მარცხის მიზეზებს, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

1. აჯანყება ცუდად იყო მომზადებული და ორგანიზებული (აჯანყება ერთი დღით ადრე დაიწყო ჭიათურაში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა აჯანყების მსვლელობაზე);

2. საბჭოთა ხელისუფლება მუდმივად ეწეოდა სოციალ-დემოკრატების (მ) და სხვა პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაციას;

3. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ პარტიებს შორის სუფევდა ურთიერთუნდობლობა;

4. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში აჯანყების მიმართ არ იყო ერთსულოვნება;

5. მოწინააღმდეგის ძალების შეფასებისას შეცდომა იყო დაშვებული, რაც განპირობებული იყო აჯანყების რომანტიზმით;

6. აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურად იქნა გამოყენებული წითელი არმიის, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების შესაძლებლობები;

---

[152] ნიკოლოზ ბენდელიანი, ისტორიოგრაფია საქარველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე, ქუთაისი, 1993, გვ. 53-56.

[153] ფარნაოზ ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, 1993, გვ. 108.

[154] ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1991, გვ. 29-30.

საქართველოს ეროვნული არქივი



7. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს აჯანყებას, უფრო მეტიც, ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ წარმოებულ მოქმედებებში.[155]

ვალერი ბენიძის აზრით 1924 წლის აჯანყების მარცხით უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედი და დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აშკარა შეზღუდვა.[156]

ვალერი ბენიძე აშკარად ცდება, როდესაც აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება პირველ ხანებში აღიარებდა საქართველოს სუვერენიტეტს, ანგარიშს უწევდა ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ამსახველ ისტორიულ თარიღს - 26 მაისს და მისი საზეიმო აღნიშვნისათვის ხელი არ შეუშლია.[157] საარქივო დოკუმენტების შესწავლა თვალსაჩინოს ხდის, რომ 1921 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღნიშვნას საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მასობრივი რეპრესიები მოჰყვა.



აჯანყების საერთო-სახალხო, ეროვნულ ხასიათზე მიუთითებს მკვლევარი **ნესტან კირთაძე** ნაშრომში „1924 წლის აჯანყება საქართველოში“. მისი აზრით „აჯანყება საქართველოში სწორედ ქართული სუვერენობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით წარიმართა“.[158]

ნესტან კირთაძემ მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომებში „რა მოხდა?!“ და „კაენ, სად არის ძმა შენი?!“[159] სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მრავალი მანამდე უცნობი საარქივო დოკუმენტი,

[155] ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1991, გვ. 31-32.
[156] ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1991, გვ. 32-33.
[157] ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1991, გვ. 32.
[158] ნესტან კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 8.
[159] ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.), წიგნი პირველი, თბილისი, 1998.

საქართველოს ეროვნული არქივი

რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა 1924 წლის აჯანყების წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

მკვლევარ **გოგი ცხოვრებაძის** ნაშრომი „ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში“ ეძღვნება ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და, ზოგადად, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის როლს ეროვნულ მოძრაობაში.

ავტორის აზრით, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ამ ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს როგორც ქვეყნის დიპლომატიური ხსნის, ისე შეიარაღებული ბრძოლის მთელ ნარეკლიან გზაზე და დამარცხების სატკივარი მთელ ქართველ ხალხთან ერთად გაიზიარეს“.[160]

გოგი ცხოვრებაძის აზრით 1924 წლის აჯანყება „იყო არა ავანტიურა, როგორც ამას საბჭოთა მოღვაწენი და ისტორიოგრაფია წარმოგვიდგენს, არამედ თვითონ საოკუპაციო რეჟიმი ცდილობდა თავისუფლებისათვის მებრძოლნი ავანტიურაში ჩაეთრია, მაგრამ დამოუკიდებლობის კომიტეტისა და მისი ყველა რგოლის მოქმედება გეგმაზომიერად ვითარდებოდა და იგი ნაკლებად ემორჩილებოდა შინაგან თუ გარეგან ფაქტორებს, თუმცა ისინი ხან აშკარად, ხან უხილავად მოქმედებდნენ მის წარმატებასა და წარუმატებლობაზე“.[161]

გოგი ცხოვრებაძე სიცრუეს უწოდებს მოსაზრებას, რომლის მიხედვით თითქოს საქართველოს ემიგრანტული მთავრობა და, საერთოდ, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია რაიმე დაპირებებს იძლეოდნენ საქართველოში აჯანყების შემთხვევაში. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოტანილი აქვს ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიმართ, რომელიც 1924 წლის 2 ივნისით თარიღდება. ამ წერილში ნოე ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ორ შესაძლო გზაზე საუბრობს: „ერთი გზა - ველოდოთ, ვიდრე შინაგანი წინააღმდეგობანი და საგარეო კონფლიქტები არ გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, მეორე - საბჭოების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. მაგრამ მარტო საქართველოს არ შეუძლია გადაწყვიტოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ამოცანა. მთელი ამიერკავკასია უნდა აჯანყდეს მის წინააღმდეგ. თუ საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებს ერთი რომელიმე სახელმწიფო, მაშინ ეს ავანტიურა იქნება, რომელსაც ევროპა მხარს არ დაუჭერს... ბრძოლა უნდა დაიწყოს, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანსა და დაღესტანში, რათა რუსეთს ჩამოვაცილოთ მთელი კავკასია. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს აჯანყება საქართველოში. სამწუხაროდ ქართველი მენშევიკები არ შეიძლება დარწმუნებული

[160] გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბილისი, 1996, გვ. 120.

[161] გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბილისი, 1996, გვ. 116.

საქართველოს ეროვნული არქივი

იყვნენ, რომ ბრძოლას საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ დაიწყებენ აზერბაიჯანი და დაღესტანი, რადგან ორივე სახელმწიფო არასაიმედოა, ამიტომ უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობა პირველ გზას და მასზე გავჩერდეთ“.[162]

გოგი ცხოვრებაძე ეხება 1924 წლის აჯანყების შედეგებს და აცხადებს: „1924 წლის აჯანყების დამარცხებასთან ერთად, ფაქტიურად დამთავრდა „საქართველოს ბოლშევიზაცია“, აი, ეს იყო მარცხის ყველაზე სავალალო შედეგი“.[163]

მკვლევარი **ოთარ გოგოლიშვილი** ნაშრომში „ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში“ 1921 წლიდან აჭარაში დაწყებულ ანტისაბჭოთა მოძრაობას შემდეგნაირად ახასიათებს: აჭარის მოსახლეობამ „არ მიიღო თავსმოხვეული ხელისუფლება და მის ყოველ ნაძალადევ ნაბიჯს მძლავრად უპირისპირდებოდა, მაგრამ „ძალა მაინც აღმართს ხნავდა“ და საბჭოთა ხელისუფლებაც ცეცხლითა და მახვილით ახშობდა ყოველგვარ გამოსვლას მის წინააღმდეგ და ამკვიდრებდა თავის ძალაუფლებას“.[164]

ოთარ გოგოლიშვილი ვრცლად ეხება აჭარაში 1924 წლის აჯანყების წინარე პერიოდს, აჯანყებისათვის მიმდინარე მუშაობას, საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეპრესიებს, აჭარის ხელმძღვანელობის მუშაობას აჭარის გურული აჯანყებულებისაგან დასაცავად და სხვა. გარდა ამისა, ავტორი მიმოიხილავს აჭარაში მომხდარი 1924 წლის აჯანყების ცალკეულ ფაქტებს და ადგილობრივი და რუსული არმიის ნაწილების მხრიდან გამოვლენილ უმსგავსო საქციელს.

მკვლევარი **ედიშერ ნარიმანიძე** დისერტაციაში „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში“ 1924 წლის აჯანყებას ეროვნულს უწოდებს და შემდეგნაირად ახასიათებს მას: „...იგი იყო ქართველი ხალხის სანუკვარი მიზნის – სამშობლოს „აღდგომა-გამოხსნისათვის“ ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება. ამიტომ იგი უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ჭეშმარიტად სახალხო, ეროვნული აჯანყება, რომელიც, მართალია, დამარცხდა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში“.[165]

საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელოში „საქართველოს ისტორია. XX საუკუნე“, რომელიც ავტორთა კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენს, 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი თავის ავტორია **ნესტან კირთაძე,** რომელმაც გაიმეორა მის მიერ ადრე გამოთქმული თვალსაზრისი. ნესტან კირთაძის აზრით „1924 წლის აჯა-

[162] გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბილისი, 1996, გვ. 112.

[163] გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბილისი, 1996, გვ. 118.

[164] ოთარ გოგოლიშვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში, ბათუმი, 2000, გვ. 74.

[165] ედიშერ ნარიმანიძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2000, გვ. 194.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნყების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამ აჯანყებას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მომავალი“.[166]

მაყვალა ნათმელაძისა და **ალექსანდრე დაუშვილის** ნაშრომში „საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.)“ ერთგვარ უზუსტობას აქვს ადგილი, როცა ავტორები აღნიშნავენ, რომ 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ სხვებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და მისი მოადგილე იასონ ჯავახიშვილი დახვრიტა.[167] მართალია, საბჭოთა სასამართლომ კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, გრიგოლ ჯინორიას, მიხეილ ბოჭორიშვილსა და მიხეილ იშხნელს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, თუმცა შემდეგში ეს განაჩენი შეუცვალა მათ 10 წლის პატიმრობითა და სასტიკი იზოლაციით.[168]

მართალია ავტორებს, მაყვალა ნათმელაძესა და ალექსანდრე დაუშვილს, ნაშრომში მოტანილი აქვთ ინფორმაცია საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1924 წლის აჯანყების შეფასებასთან დაკავშირებით, თუმცა თავიანთ პოზიციას არ აფიქსირებენ, ემხრობიან თუ არა მსგავს შეფასებას.

მკვლევარი **ოთარ ჯანელიძე** წიგნში „სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი“ ეხება რა სპირიდონ კედიას დამოკიდებულებას 1924 წლის აჯანყებასთან, წერს: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედია ამბოხებისაგან თავშეკავებას ამჯობინებდა და საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებსაც ამასვე ურჩევდა“.[169]

აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში გადახვეწილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და სპირიდონ ჭავჭავაძემ აჯანყების მარცხის ერთ-ერთ მიზეზად ისიც აღნიშნეს, რომ „ხელს გვიშლიდა პატრონების უქონლობაო“. ამან სპირიდონ კედიას გაოცება გამოიწვია: „პატრონები თუ არ გქონდათ, რისი იმედით გამოდიოდით?“ - იკითხა მან. მკვლევარი ოთარ ჯანელიძე აღნიშნავს, რომ ეს არ იყო ნიშნის მოგებით ნათქვამი სიტყვა, არამედ

[166] საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით, თბილისი, 2003, გვ. 130.
[167] მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.), თბილისი, 2004, გვ. 57.
[168] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 503.
[169] ოთარ ჯანელიძე, სპირიდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2002, გვ. 157.

საქართველოს ეროვნული არქივი

ეს იყო „რეალისტი მამულიშვილის უკმაყოფილების, წუხილისა და გულისტკივილის გამოხატულება აჯანყებით გამოწვეული უსაზღვრო მსხვერპლის გამო, რომლის თავიდან აცილება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა“.[170]

1924 წლის აჯანყებასთან მიმართებაში საუბრისას მკვლევარი ოთარ ჯანელიძე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს ორ ნაწილად ჰყოფს: 1. „ილიას ხაზის“ ერთგულებად და 2. რადიკალურ ფრთად. სპირიდონ კედიას ის „ილიას ხაზის“ ერთგულთა ჯგუფს მიაკუთვნებს. რაც შეეხება რადიკალურ ნაწილს, ოთარ ჯანელიძის თქმით, მან „სამშობლოს განთავისუფლება შეიარაღებული ამბოხებით სცადა და თავი გასწირა“.[171]

მკვლევარი **თენგიზ ენდელაძე** საკანდიდატო დისერტაციაში „საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.)“ ვრცლად ეხება საბჭოთა ხელისუფლების დაუნდობელ ბრძოლას პოლიტიკური პარტიების დასაშლელად. ავტორმა დიდძალი საარქივო მასალის შესწავლის ფონზე წარმოაჩინა 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების წვლილი.[172]



მოგვიანებით, თენგიზ ენდელაძემ 1924 წლის აჯანყებას მიუძღვნა ნაშრომი „ტრაგიკული 1924“. ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მან 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილთა მეტ-ნაკლებად ზუსტი სიები მოგვცა მაზრების მასშტაბით.[173]

თენგიზ ენდელაძე ეხება აჯანყების მარცხის მიზეზებს და წერს: „დამარცხების მიზეზთა საფუძველი საბჭოთა კავშირისა და მისი ძალოვანი სტრუქტურების აღმავალ სიძლიერესა და აჯანყების ეროვნულ ძალთა ორგანიზატორების შეცდომებში უნდა ვეძიოთ“.[174]

მოგვიანებით, 1924 წლის აჯანყების შეფასების საკითხში თავი იჩინა ახალმა შეხედულებამ, რომლის ავტორია **გიორგი ციციშვილი**. გიორგი

[170] ოთარ ჯანელიძე, სპირიდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2002, გვ. 162.
[171] ოთარ ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2002, გვ. 164-165.
[172] თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003.
[173] თენგიზ ენდელაძე, ტრაგიკული 1924, თბილისი, 2004, გვ. 43.
[174] თენგიზ ენდელაძე, ტრაგიკული 1924, თბილისი, 2004.

საქართველოს ეროვნული არქივი



ციციშვილი ნაშრომში „სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო)“ აცხადებს, რომ „1924 წლის აჯანყება ერთი მხრივ, ხელისუფლების, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ცენტრის (ნ. რამიშვილი და კომპანია), ხოლო მესამე მხრივ, ადგილობრივი ექსტრემისტი-ავანტურისტი ლიდერების (კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. იშხნელი და სხვ.) მიერ იყო პროვოცირებული“. გიორგი ციციშვილის აზრით, აჯანყებით „რადიკალ-ექსტრემისტთა მეამბოხე ელიტამ „თავისი საქმე“ გააკეთა...“ და ამდენად, მისი აზრით, „1924 წლის აჯანყებაში „იყო ავანტურისტული ნაკადიც“. თუმცა, ავტორი აჯანყების ხელმძღვანელებს იმავდროულად გმირებად ასახელებს და სათანადო მაგალითიც მოჰყავს: „ნ. ხომერიკი გმირულად შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას“.[175]

ამდენად, გიორგი ციციშვილი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ერთდროულად „გმირებს“ და „მამულიშვილებს“ უწოდებს და „ავანტიურისტ-ექსტრემისტებსაც“, რაც, ცხადია, შეუსაბამოა.

1924 წლის აჯანყების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში გიორგი ციციშვილი წერს: „...აჯანყების მზადებისა და განხორციელების დროს მასობრივად დაღვრილმა სისხლმა მსოფლიოს უჩვენა საქართველოს ანტიიმპერიული საუკუნოვანი ბრძოლის აპოთეოზი. მან ჩვენს ერს მოუპოვა საერთაშორისო თანაგრძნობა და აღიარება. მეორე ინტერნაციონალის ლიდერების გამოთქმით, მათ დროშას აქამდე თუ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლონეთის სახელი ეწერა, ახლა იგი საქართველოს სახელით დამშვენდა“.[176]

ამდენად, გიორგი ციციშვილი თვლის, რომ 1924 წლის აჯანყებამ ქართველ ერს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა, თუმცა იმავდროულად აღნიშნავს, რომ აჯანყება საქართველოს საგანგებო კომისიის უფროსის მოადგილის ლავრენტი ბერიას მიერ იყო პროვოცირებული.

---

[175] გიორგი ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო), თბილისი, 2004, გვ. 35-54.

[176] გიორგი ციციშვილი, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო („ჩეკა“) ქართული ანტისაბჭოთა ბრძოლისა და 1924 წლის აჯანყების მესვეურთა წინააღმდეგ.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, გვ. 76.

საქართველოს ეროვნული არქივი



გიორგი ციციშვილის აზრით 1924 წლის აჯანყებამ „ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის განადგურებაც გამოიწვია და ფაქტობრივად კომუნისტურ-ტოტალიტარული იმპერიის მზაკვრული გეგმის აღსრულებით, ხელი შეუწყო კომუნისტურ-საბჭოური ძალმომრეობით გაპოხიერებული ეროვნული ნიადაგის გადახვნას“.[177]

გიორგი ციციშვილის შეხედულებებს კატეგორიულად არ ეთანხმება მკვლევარი **შოთა ვადაჭკორია,** რომელმაც 2017 წელს გამოაქვეყნა ბროშურა „სინამდვილის გაყალბებისა და შეფასების XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური სტილი (პასუხად გიორგი ციცშვილს)“. ავტორი სათანადო საარქივო დოკუმენტების მოშველიებით ასაბუთებს გიორგი ციციშვილის მიერ გაკეთებული დასკვნების უსაფუძვლობას (აქ იგულისხმება აჯანყების ავანტიურად, ხოლო პატრიოტების ნაწილის ავანტიურისტებად და ექსტრემისტებად მონათვლა).[178]



შოთა ვადაჭკორიას მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის. 1924“, ნაჩვენებია ანტისაბჭოთა აჯანყების ის ორი გეგმა, რომელიც მუშავდებოდა პატრიოტული ძალების მიერ და ამ გეგმის გაცემის დეტალები. ავტორი ვალიკო ჯუღელს და სხვა დაპატიმრებულებს გმირებად მოიხსენიებს და ასკვნის, რომ მათი ექსტრემისტებად და ავანტიურისტებად მონათვლა საფუძველს მოკლებულია.[179]

ისტორიკოსი **კობა წენგუაშვილი** ნაშრომში „საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია“, მიმოიხილავს 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით არსებულ ისტორიოგრაფიულ მემკვი-

[177] გიორგი ციციშვილი, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო („ჩეკა“) ქართული ანტისაბჭოთა ბრძოლისა და 1924 წლის აჯანყების მესვეურთა წინააღმდეგ.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, პარიზი-თბილისი, გვ. 77.

[178] შოთა ვადაჭკორია, სინამდვილის გაყალბებისა და შეფასების XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური სტილი (პასუხად გიორგი ციციშვილს), თბილისი, 2017.

[179] შოთა ვადაჭკორია, შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის. 1924, პარიზი-თბილისი, 2016.

საქართველოს ეროვნული არქივი

დრეობას. კ. წენგუაშვილი ნაშრომის შესაბამისი თავის ბოლოს აყალიბებს თავის მოსაზრებას 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით. ავტორი წერს:

„საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენდა მენშევიზმის გავლენის ამოძირკვა, რაც საკმაო პრობლემას წარმოადგენდა, ამასთან სოციალურად გატანჯული მოსახლეობის ყურადღების გადატანა „კონტრრევოლუციურ აჯანყებაზე“, რომლის ლიკვიდაცია ფართოდ გაუხსნიდა გზას რეპრესიული პოლიტიკის გატარებას, გამოავლენდა ეროვნული მოძრაობის ყველა ცენტრს და ყველა ლიდერს, გამოააშკარავებდა მოკავშირეებსა და მათთან დაკავშირების საშუალებებს, რაც საბოლოოდ განამტკიცებდა საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას“. საბოლოოდ, კ. წენგუაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „1924 წლის აგვისტოს აჯანყება ინსპირირებული შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა სპეცსამსახურების ორგანოების მიერ“.[180]

მკვლევარი **ირაკლი მანველიძე** 1924 წლის აჯანყებას ეროვნულს უწოდებს და აცხადებს, რომ მან „ყველაზე უფრო ნათლად აჩვენა ქართველი ერის დამოკიდებულება ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო რეჟიმისადმი“.[181]

მკვლევარი **მიხეილ სამსონაძე** თვლის, რომ საბჭოთა ხელისუფლება თითქოს ცდილობდა თავიდან აეცილებინა აჯანყების ფაქტი, რათა დემოკრატიული ევროპის თვალში, რომელთანაც ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა, ავტორიტეტი არ შელახოდა. თუმცა ავტორი არ საუბრობს, თუ რა ტიპის ზომები მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყების თავიდან ასაცილებლად და თუ ეს ასე იყო, რატომ ვერ აიცილა ის თავიდან?

რაც შეეხება აჯანყების მიზანს, მიხეილ სამსონაძის აზრით, აჯანყების ადგილობრივ და საზღვარგარეთელ ხელმძღვანელებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით საქართველოს ვერ გაათავისუფლებდნენ, ამიტომ საჭიროდ თვლიდნენ აჯანყების ფაქტის დაფიქსირებას, რათა ევროპის ყურადღება მიექციათ და დახმარების პერსპექტივა გასჩენოდათ.[182]

კოლექტიურ ნაშრომში „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“, 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი ნაწილის ავტორია ისტორიკოსი **ალექსანდრე დაუშვილი.** ის 1924 წლის აჯანყებას „დიდ სახალხო აჯანყებას“ უწოდებს, რომლის მიზანი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, თუმცა მას მიაჩნია, რომ სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან აჯანყების პროვოცირებას ჰქონდა ადგილი, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის ყურადღების გადატანა მძიმე სოციალური მდგომარეობიდან და „შიშის სინდრომის“ დანერგვა. „1924 წელი – მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საქა-

[180] კობა წენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბილისი, 2005, გვ. 97-98.

[181] ირაკლი მანველიძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში, ბათუმი, 2006, გვ. 42.

[182] მიხეილ სამსონაძე, საქართველო 1921-1991 წლებში (პროექტი), თემა დისპუტისათვის, თბილისი, 2001, გვ. 4.

საქართველოს ეროვნული არქივი



რთველოს ისტორიაში, ამის შემდეგ საქართველოში გარკვეულად იცვლება მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, დამოკიდებულება ახალი სახელმწიფო სისტემისადმი - წერს ავტორი.[183]

მკვლევარმა **ლევან ჯიქიამ** რამდენიმე წიგნი მიუძღვნა 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებას საქართველოში,[184] რომელთაგან ცალკე გამოვყოფთ ნაშრომს „1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“. ავტორმა მდიდარი საარქივო მასალის საფუძველზე შეისწავლა დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, აჭარა) 1921-1924 წლებში მიმდინარე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა თითოეული სოფლის, თემის და რაიონის დონეზე, საქართველოს საგანგებო კომისიისა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მუშაობა ეროვნულ-პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, აჯანყებისთვის მზადება, აჯანყების მიმდინარეობა, აჯანყების მარცხი და საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული უსასტიკესი რეპრესიები.



ავტორი 1924 წლის აჯანყებას 1921 წელს საქართველოში დაწყებული ეროვნული მოძრაობის აპოგეად თვლის.

2012 წელს **ლევან ჯიქიამ** გამოსცა წიგნი „1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი. დოკუმენტები და მასალები (1925 წლის ივლისი-აგვისტო)“. წიგნში შესულია 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების სასამართლო პროცესზე დაკითხვის სტენოგრამა და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.[185] სასამართლომ, როგორც ცნობილია, აჯა-

[183] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 407-409.

[184] 1924 წლის აჯანყება საქართველოს რეგიონებში (სამეგრელო), თბილისი, 2009; 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში. ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები, თბილისი, 2015; 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში. ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები, თბილისი, 2017.

[185] 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი. დოკუმენტები და მასალები (1925 წლის ივლისი-აგვისტო), თბილისი, 2012.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნყების ხელმძღვანელებს (ხუთ პირს) დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, თუმცა მოგვიანებით მათ ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ამით საბჭოთა ხელისუფლებას სურდა საკუთარი მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე თავი ჰუმანურად წარმოეჩინა.

მკვლევარმა **გელა სულაძემ** ნაშრომში „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“, მდიდარ საარქივო მასალაზე დაყრდნობით, აჩვენა ანტისაბჭოთა ძალების წინააღმდეგ საბჭოთა სპეცსამსახურების აქტიური მუშაობის პროცესი როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში.[186] ამ მუშაობის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება პერმანენტულად ფლობდა ინფორმაციას ანტისაბჭოთა ძალების გეგმების შესახებ.

მკვლევარი **ბონდო კუპატაძე** 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს პატრიოტებად თვლის და აცხადებს, რომ მათ პოლიტიკური რომანტიზმი გამოავლინეს, რადგან არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას არსებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე.[187]

მკვლევარი **მიხეილ ბახტაძე** 1924 წლის აჯანყებაზე საუბრისას სამართლიანად აკრიტიკებს ცალკეულ მკვლევართა მოსაზრებას, რომ თითქოს აჯანყების მარცხმა უფსკრულის პირას მიიყვანა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედი. „დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო აღარ არსებობდა და საბჭოთა საქართველოს ფორმალურ სახელმწიფოებრიობას აჯანყების მარცხი ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა“ - წერს ის.[188]

მიხეილ ბახტაძის აზრით, შესაძლოა აჯანყებულებმა დაუშვეს შეცდომები, გულუბრყვილო დამოკიდებულება ჰქონდათ ცალკეულ საკითხებზე, თუმცა ამის გამო მათი ავანტიურისტებად მონათვლა მიზანშეწონილი არ არის. „თუ დავუშვებთ, რომ აჯანყების ხელმძღვანელები დარწმუნებული იყვნენ მარცხში და მაინც აჯანყდნენ, მაშინ ისინი ავანტიურისტები კი არა დამნაშავეები და მოღალატეები ყოფილან. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, მარცხში დარწმუნებულმა ხელმძღვანელებმა რატომ გაწირეს სასიკვდილოდ არა მარტო აჯანყების რიგითი

[186] გელა სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბილისი, 2012.
[187] ბონდო კუპატაძე, ბოლშევიკური ხელისუფლება და ქართული საზოგადოება 1924 წლის აჯანყების დროს.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“. პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 204.
[188] მიხეილ ბახტაძე, 1924 წლის აჯანყების შეფასება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“. პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 214.

საქართველოს ეროვნული არქივი

მონაწილეები, არამედ საკუთარი თავიც?“ - სვამს ლოგიკურ კითხვას მ. ბახტაძე.[189] ამ მოსაზრებით მიხეილ ბახტაძემ, ფაქტიურად, პასუხი გასცა მკვლევართა ნაწილს (გიორგი ციციშვილი და სხვები) და მათ მოსაზრებას ნონსენსი უწოდა.

ამდენად, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში 1924 წლის აჯანყების შეფასებასთან დაკავშირებით ძირითადად სამი თვალსაზრისია დამკვიდრებული:

1. 1924 წლის აჯანყება წარმოადგენდა ეროვნულ მოძრაობას. მართალია აჯანყების ხელმძღვანელებმა დაუშვეს გარკვეული შეცდომები, თუმცა ისინი საქართველოს გასათავისუფლებლად გულწრფელად იბრძოდნენ (ამ თვალსაზრისს ემხრობიან: რ. გრძელიძე, ნ. კირთაძე, შ. ვადაჭკორია, ე. ნარიმანიძე, მ. ბახტაძე, ბ. კუპატაძე, ლ. ჯიქია და სხვები). აჯანყების ზოგიერთი ხელმძღვანელი (ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი და სხვები) შეეწირა კიდეც ამ მოძრაობას და მათი ავანტიურისტებად მონათვლა ნამდვილად უსამართლოა;

2. 1924 წლის აჯანყება პროვოცირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ და აქედან გამომდინარე შედიოდა მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებში (ამ თვალსაზრისს ემხრობიან: თ. ენდელაძე, კ. წენგუაშვილი, ა. დაუშვილი);

3. 1924 წლის აჯანყებაში იყო ავანტიურისტული ნაკადი (გ. ციციშვილი). გ. ციციშვილის აღნიშნული თვალსაზრისი წინააღმდეგობრივია, რადგან ის ერთის მხრივ აჯანყების ხელმძღვანელებს გმირებსაც უწოდებს და ავანტიურისტებსაც.

[189] მიხეილ ბახტაძე, 1924 წლის აჯანყების შეფასება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.- კრებული „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“. პარიზი-თბილისი, 2016, გვ. 215-216.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებაში მონაწილე დახვრეტილთა რაოდენობა და სინამდვილე

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები დაიწყო - აჯანყების მონაწილეებს, მათ თანამგრძნობებსა თუ ეჭვმიტანილებს ყოველგვარი გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ ე. წ. „სამეულები“.

1924 წლის აჯანყების ჩახშობაში მთავარ როლს **სერგო ორჯონიკიძე** ასრულებდა. ს. ორჯონიკიძე სულელურ მონაჭორს უწოდებს გავრცელებულ აზრს, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებამ 3000-დან 5000-მდე ადამიანი დახვრიტა. ის ამტკიცებდა, რომ აჯანყების ჩახშობის დროს დახვრეტილთა რაოდენობა 980 ადამიანს შეადგენდა, რომელთაგან 95% ყოფილი თავად-აზნაური იყოო.

ნოე ჟორდანია თვლიდა, რომ დახვრეტებს საქართველოში 5000 ადამიანი ემსხვერპლა.

კლარა ცეტკინი თავის ნაშრომში ასახელებს 320 დახვრეტილს.[190] თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ის ზოგიერთ ადგილებში (ფოთი, გურია) დახვრეტის ფაქტს უარყოფს, რაც რეალობას არ შეესაბამება.

ჩვენ სათანადო თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ კლარა ცეტკინთან მისულმა დელეგაციის წევრებმა მას წერილი გადასცეს, სადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით 6000-ზე მეტი ადამიანის დახვრეტაზე იყო საუბარი.[191]

რემონ დიუგე, რომელიც სხვების მონათხრობს ეყრდნობოდა, წერს: „ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ამბობენ, ამ ველური რეპრესიების შედეგად 7 000 ადამიანი დაიღუპაო.

ყველაზე მრავალრიცხოვანი დახვრეტები თბილისში მოხდა. მსხვერპლი ძირითადად თბილისის მაცხოვრებლები იყვნენ. ზოგიერთ შემთხვევაში სხვა რაიონებიდან ჩამოყვანილებიც. ხოცვა ჟლეტამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ დახვრეტების ხელმძღვანელი ჩეკისტებიც კი შეფიქრიანდნენ. მათ ითხოვეს: მომავალში დასჯას დასწრებოდა თბილისის წითელი მთავრობის ერთ-ერთი წევრი; პასუხისმგებლობა მარტო ჩეკისტებს რომ არ დაკისრებოდა. მათი თხოვნა დააკმაყოფილეს. იმ დღიდან მოყოლებული დახვრეტებს მთავრობის რომელიმე წევრი ესწრებოდა“.[192]

რემონ დიუგეს, ცხადია, არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში მიმდინარე დახვრეტების შესახებ, ამიტომაც, შეცდომით თვლის, რომ დახვრეტებს ძირითადად თბილისის მაცხოვრებლები შეეწირნენ.

---

[190] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 38.

[191] Клара Цеткин, На Освобожденном Кавказе, М., 1935, стр. 36-37.

[192] რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბილისი, 1994, გვ. 121-122.

საქართველოს ეროვნული არქივი

მკვლევარ **რევაზ გრძელიძის** აზრით თბილისში 2000 ადამიანი დახვრიტეს, სამეგრელოში კი - 500, თუმცა ის არ იმოწმებს არანაირ დოკუმენტს.

ტიერი ბერიშვილი დახვრეტილთა რაოდენობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას იძლევა: „დაღუპულთა რიცხვი 5000-დან 7000-მდე გაიზარდა და, დღეს კი, არქივების გახსნის შედეგად, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ის 12 000-საც კი შეადგენდა“.[193]

თუმცა ტ. ბერიშვილი არ იმოწმებს არც საარქივო მასალას და არც იმ ისტორიკოსებს ასახელებს, რომელთა ნაშრომებშიც დახვრეტილთა აღნიშნული რაოდენობა ფიქსირდება (ტ. ბერიშვილის ნაშრომს არ ახლავს სამეცნიერო აპარატი).

მკვლევარმა **თენგიზ ენდელაძემ** გამოაქვეყნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტი, რომელშიც 892 დახვრეტილია ჩამოთვლილი.[194]

მკვლევარი **ლევან ჯიქია,** საარქივო დოკუმენტების მოშველიებით, 1063 დახვრეტილს ასახელებს. თუმცა ის იქვე მიუთითებს, რომ დახვრეტილთა რაოდენობა დასახელებულზე გაცილებით მეტია, ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა-ძიება.

ამდენად, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილთა შემდეგი რაოდენობა დასახელდა: 320; 892; 980; 1063; 2500; 5000; 6000; 7000; 12000.

ბუნებრივად ისმის კითხვა, რეალურად რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებას საქართველოში?

ჩვენ, ამ საკითხზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ არაერთი საარქივო დოკუმენტი, რომელშიც 1924 წლის აჯანყებაში მონაწილის/მონაწილეების დახვრეტის შესახებაა ინფორმაცია მოცემული, თუმცა ეს პირები ერთიან სიაში (რომელიც ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში) არ ფიგურირებენ. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა რეჟიმმა მინიმუმ 1063 ადამიანი დახვრიტა საქართველოში, თუმცა შემდგომი კვლევა-ძიებისას ეს ციფრი დიდი ალბათობით გაიზრდება.

---

[193] ტიერი ბერიშვილი, 1924 ეროვნული აჯანყება საქართველოში, პარიზი-თბილისი, 2013, გვ. 106.

[194] ამ ციფრს უნდა გამოაკლდეს ზუგდიდში შემთხვევით გადარჩენილი ოთხი ადამიანი.

საქართველოს ეროვნული არქივი

როგორ უნდა შეფასდეს 1924 წლის აჯანყება?

1924 წლის აჯანყებაზე საუბრისას უმთავრესია აღვნიშნოთ, რომ ის იყო არა მხოლოდ ანტისაბჭოთა, არამედ უპირველეს ყოვლისა ეროვნული. სწორედ ამაზე მიანიშნებს აჯანყებულთა ლოზუნგები: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება საგანგებოდ ჩქმალავდა ან მხოლოდ გაკვრით აღნიშნავდა აჯანყების ეროვნულ შინაარს, ანუ მალავდა, რომ აჯანყებულთა მთავარი მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. მსგავსი მიდგომა ინერციით გადმოჰყვა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასაც.

1924 წლის აჯანყების შეფასებისას აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. არსებობდა თუ არა 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები და შეიძლებოდა თუ არა აჯანყების თავიდან აცილება, ანუ არსებობდა თუ არა ბრძოლის ალტერნატიული გზა?
2. ამოძრავებდათ თუ არა პირადი მოტივები აჯანყების სათავეში მდგომ პირებს?
3. როგორი იყო აჯანყების ტექნიკური და სამხედრო მომზადების დონე?
4. როგორი იყო აჯანყების გეოგრაფია?
5. როგორი იყო აჯანყებაში მონაწილე პირთა სოციალური კუთვნილება?
6. ჰყავდათ თუ არა აჯანყებულებს მოკავშირე საქართველოს ფარგლებს გარეთ?
7. არსებობდა თუ არა აჯანყების წარმატების შესაძლებლობა?
8. იყო თუ არა აჯანყება პროვოცირებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ?
9. რას გულისხმობს ტერმინი „ავანტიურა“ და შეიძლება თუ არა მისი მისადაგება 1924 წლის აჯანყებასთან?

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საქართველოს მთავრობად გამოცხადებული „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ („რევკომი“) ფორმალურად საკანონმდებლო, აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა. სინამდვილეში კი ქვეყნის მართვას რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი (მდივანი სერგო ორჯონიკიძე) ახორციელებდა, რომელიც, თავის მხრივ, დირექტივებს კრემლიდან იღებდა.

რევკომის მთავარი მიზანი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დაშლა-განადგურება იყო. ამ მიზნით პარტიებში შეგზავნილი იყვნენ აგენტ-ინფორმატორები. საქართველოს საგანგებო კომისიაში არსებობდა სპეციალური განყოფილებები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებზე მუშაობდნენ. შედეგად პოლიტიკურმა პარტიებმა „თვითლიკვიდაცია“ გამოაცხადეს. ქვეყანაში, ფაქტიურად, ერთპარტიული რეჟიმი დამკვიდრდა. არჩევნები სრული ფიქცია გახდა - მასში მონაწილეობდნენ საქართვე-

საქართველოს ეროვნული არქივი

ლოს კომუნისტური პარტიის წევრები და საბჭოთა ხელისუფლებასთან ალიანსში მყოფი თედო ღლონტის ჯგუფის წევრები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ყოფილი თავადაზნაურობის ფენა, რადგან კერძო საკუთრების გაუქმება პირდაპირ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. მათ სახნავ-სათესი მიწებისა და ტყის მასივები ჩამოართვეს.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს მეფის ოფიცრობისაგან ჯარის „გაწმენდა" წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სერგო ორჯონიკიძის არგუმენტები: „ამ 2 თვის წინეთ (1924 წლის ივლისი-აგვისტო - **ლ. ჯ.**) სურამში ვიყავი, შევხედე ჯარისკაცებს, სამაგალითო ბიჭები არიან, მაგრამ მეთაურები რომ დავინახე, გული გამისკდა. ყველანი ნიკოლოზის ოფიცრები იყვნენ და რა დღესაც გინდა საბჭოთა ხელისუფლებას ხიშტზე წამოაგებდენ. ამიტომ 400 კაციდან 200 გამოვრეკე. ამ 200 კაცმა ყველამ მიიღო მონაწილეობა ამ აჯანყებაში..."[195]

საბჭოთა ხელისუფლებას „მზრუნველობის" გარეშე არ დარჩენია ვაჭართა ფენა. ვაჭრები საბჭოთა ხელისუფლებამ „არასაიმედოებს" მიაკუთვნა და ამიტომაც „კერძო ვაჭრებს, შუამავალთ და კომერციულ შუაკაცებს" ჩამოერთვათ როგორც აქტიური ისე პასიური საარჩევნო ხმის უფლება (ანალოგიურად ჩამოერთვათ ხმის უფლება ყოფილ პოლიციელებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის ყოფილ წევრებს და სხვებს).[196]

მართალია, საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდნენ გლეხები, მაგრამ არჩევნების დროს მათ წინასწარ ეკითხებოდნენ, თუ ვის აძლევდნენ ხმას.[197] ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, არჩევნები სრული ფიქცია იყო.

კომუნისტები (ბოლშევიკები) ხელისუფლების უზურპაციამდე გლეხებს მიწებს ჰპირდებოდნენ. საქართველოს რევკომმა 1921 წლის 6 აპრილის N17 დეკრეტით მთელი მიწა მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებად გამოაცხადა და მისი ყიდვა-გაყიდვა და იჯარით გაცემა აკრძალა. დეკრეტის შესაბამისად გლეხობისათვის მიწების გადაცემა მემამულეების, ეკლესია-მონასტრებისა და სხვა მსხვილ მფლობელთა ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ამასთანავე, რევკომმა მანამდე არსებული ყველა კანონი მიწის შესახებ (1917 წლის 16 დეკემბრის, 1918 წლის 7 მარტის, 1919 წლის 28 იანვრის და 1920 წლის 10 თებერვლის) გააუქმა.[198]

აგრარული რეფორმა საქართველოში დაჩქარებული წესით რამდენიმე თვეში განხორციელდა (1922 წლის შემოდგომა-1923 წლის გაზაფხული). საგანგებოდ შექმნილი „გლეხთა კომისიები" ყოფილი თავადაზნაურთა მიწების გარდა საშუალო

[195] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 46.
[196] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.), თბილისი, 1983, გვ. 28.
[197] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 46.
[198] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბილისი, 1983, 28-31.

საქართველოს ეროვნული არქივი

შეძლების გლეხებსაც ართმევდნენ მიწას, თუ მათ ნორმაზე ოდნავ მეტი მიწა გაა-ჩნდათ.

ხშირშემთხვევაში კომისიის წევრები ჩამორთმეული მიწებიდან საუკეთესო ნა-კვეთებს თვითონ ითვისებდნენ. ყოველივე ამის შედეგად ზოგან გლეხებს მიწები სა-ერთოდ არ მიუღიათ, მაგალითად, გურიაში.[199]

გლეხების მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა სხვადასხვა გადასახადების დაწესებით.[200]

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბედი იმთავითვე გადაწყვეტილი იყო. ამის უმთავრესი მიზეზი საბჭოთა ხელისუფლების ათეისტურ პოლიტიკაში მდგომარეობდა. გარდა ამისა, ბოლშევი-კებს კარგად ახსოვდათ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ქართველი სამღვდელოების პოზიცია. ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ ბოლშევიკების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი საქართველოს ეკ-ლესიას ეხებოდა. დეკრეტის ძალით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, ხოლო სკოლა - ეკლესიას. ამასთანავე, ეკლესიას უძრავი და მოძრავი საკუთრების ფლობის უფლება ჩამოერთვა და ეკლესიის მთელი ქონება სახალხო საკუთრებად გამოცხადდა.[201]

1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ „საეკლესიო განძეულო-ბის გამოყენების წესის შესახებ“ მიღებული კანონით დაკეტილი ეკლესიების მთელი ქონება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გადასცა.[202]

ბოლშევიკებმა მასობრივი ანტირელიგიური კამპანია საქართველოში 1922 წლის დამლევიდან დაიწყეს. ქრისტიანულ შობას მათ ე. წ. „კომკავშირული შობა“ დაუპი-რისპირეს. ამ კამპანიის ჩასატარებლად ამიერკავკასიის მასშტაბით სპეციალური სა-მხარეო კომისია შეიქმნა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) სამხარეო კომიტეტის მდივნის მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით.[203]

მთელ ქვეყანაში ეკლესია-მონასტრების დახურვა-გადაკეთების პროცესი დაი-წყო, რისთვისაც ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ხუთი მილიარდი მა-ნეთი გამოყო.[204]

ეკლესია-მონასტრების გადაკეთებაში ცალკეული თემებისა თუ სოფლების ხე-ლმძღვანელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. დახურვას გადარჩენილ ეკლესიებში

---

[199] ბ. ლომინაძის პირადი წერილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანისადმი (1924 წ. შემოდგომა), „საქართველოს კომუნისტი“, 1989, №3.

[200] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბილისი, 1983, გვ. 28-31.

[201] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბილისი, 1983, გვ. 33.

[202] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 144, ფურცელი 15.

[203] გივი როგავა, როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), თბილისი, 1994, გვ.16.

[204] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 2, ფურცელი 373.

საქართველოს ეროვნული არქივი

ღვთისმსახურებს უკიდურესად ავიწროებდნენ და დევნიდნენ. ბოლშევიკები ანტირელიგიური კამპანიის დროს წმინდა ხატებს, წმინდა წიგნებს და წმინდა ნაწილებსაც ხელყოფდნენ. ბოლშევიკები ცდილობდნენ სასულიერო პირებში თავიანთი მომხრეები გაეჩინათ. ამ თვალსაზრისით გარკვეულ „წარმატებასაც“ მიაღწიეს. ეკლესიებში გაჩნდა ე. წ. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფი, რომელმაც „სიახლეები“ შეიმუშავა - მარხვის აკრძალვა და სხვა.[205]

სასულიერო პირების წინააღმდეგ ბრძოლა ბოლშევიკებმა სასულიერო წოდებისათვის ხმის უფლების ჩამორთმევით დააგვირგვინეს.[206]

ქართველ ინტელიგენტებს, სომხებისა და რუსებისაგან განსხვავებით, დაწესებულებებში სამსახურს არ აძლევდნენ. სხვადასხვა ორგანიზაციაში ჩატარებული ე. წ. „წმენდა“ მხოლოდ ქართველებს ეხებოდათ. ამის მიზეზად ს. ორჯონიკიძე იმ გარემოებას ასახელებდა, რომ ქართველი ინტელიგენტი ჯერჯერობით მათი ინტერესების გამტარებელი არ იყო.[207]

საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთ-საქართველოს ომის დროს უნივერსიტეტის პროფესურისა და სტუდენტების პოზიცია კარგად ახსოვდა. 1921 წლის 26 თებერვალს „რუსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები მე-11 არმიის სარდლობასთან გამოცხადნენ და თბილისის უნივერსიტეტის დახურვა მოითხოვეს“.[208]

საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტის ძირფესვიანი „წმენდა“ დაიწყო, რის შედეგად თბილისის უნივერსიტეტში მოსწავლე 4 ათასი სტუდენტიდან 1200 გარიცხეს.[209]

მოსკოვის მითითებით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი გაასხვისა. ოსმალეთს (თურქეთს) გადაეცა 9969.71 კვ. კმ. ტერიტორია 158 728 მცხოვრებით, სომხეთს - 2575.38 კვ. კმ. ტერიტორია 37 800 მცხოვრებით, აზერბაიჯანს - 5199.47 კვ. კმ. ტერიტორია 92 608 მცხოვრებით.[210]

საბჭოთა ხელისუფლებისგან წაქეზებული ოსები ყოველგვარ უმსგავსობასა და თვითნებობას მიმართავდნენ. „ერთა თვითგამორკვევის“ პრინციპის ერთგულმა საბჭოთა ხელისუფლებამ ოსებს ავტონომიაც კი მისცა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა, რომელსაც ოსურ სოფლებთან ერთად 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი გადაეცა.[211]

---

[205] სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.), თბილისი, 2009, გვ. 126.

[206] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.), თბილისი, 1983, გვ. 93.

[207] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 51.

[208] ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა, თბილისი, 2004, გვ. 3.

[209] გ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1956, გვ. 55.

[210] ლევან თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, 1991, გვ.197.

[211] ლევან თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბილისი, 1999, გვ. 90-94.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს მოჩვენებით სუვერენიტეტს ბოლო მოეღო ჯერ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, 1922 წლის 30 დეკემბერს კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით და მასში ამიერკავკასიის ფედერაციის გაერთიანებით.

1923 წლის 10 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნიშანსვეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ერთეული ქართული ბონები საბოლოოდ გაუქმდა და ხმარებაში ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნები შემოვიდა.[212]

ამდენად, საქართველოში საკმარისზე მეტი მიზეზი არსებობდა ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის დასაწყებად.

საქართველოში ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი ფორმების გამოყენების არაერთ მცდელობას: დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა ხელისუფლებასთან (რომელიც დააპატიმრეს), მშვიდობიანი დემონსტრაციები, ევროპის თანამეგობრობისთვის მიმართვა და სხვა. პარალელურად ადგილი ჰქონდა ლოკალურ ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებებს (სვანეთსა და კახეთ-ფშავ-ხევსურეთში), თუმცა ლოკალურობის გამო ისინი მარცხით დამთავრდა.

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები ცდილობდნენ ყველა საერთაშორისო არენის გამოყენებას (გენუის კონფერენცია და სხვა), თუმცა, არც ამან მოიტანა სასურველი შედეგი. ამასობაში კი საქართველოში პოლიტიკური რეპრესიები არ წყდებოდა (დახვრეტები, დაპატიმრებები, გადასახლებები და სხვა).

ქართველი პოლიტიკოსები დარჩნენ ორი უკიდურესობის წინაშე: ისინი ან უნდა შერიგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და მოსალოდნელ რეპრესიებს მშვიდად დალოდებოდნენ, ან ებრძოლათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ამ რეჟიმის წინააღმდეგ. 1924 წლის აჯანყების სათავეში მდგომმა პოლიტიკოსებმა სწორედ ეს მეორე გზა აირჩიეს. აჯანყების ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში დაწყებაზე სპეციალურად ამისათვის შექმნილ საზღვარგარეთის ბიუროს უნდა ეზრუნა. ამასთან, აჯანყების იდეის მომხრეებისათვის ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირისათვის გაგზავნილმა ნოტამაც. ამ ნოტაში აღნიშნული იყო, რომ ინგლისი დე იურე ცნობდა საბჭოთა კავშირის მთავრობას ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომლის მოსახლეობაც ცნობდა მის ხელისუფლებას.[213] გარკვეულ იმედებს საფრანგეთიც იძლეოდა. საფრანგეთში ერიოს მთავრობა ლოიალურად იყო განწყობილი საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მიმართ.[214]

---

[212] ნიკო ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა), თბილისი, 1996, გვ. 102.
[213] ქართული დიპლომატიის ისტორია, როინ მეტრეველის რედაქტორობით, თბილისი, 2003, გვ. 606-607.
[214] კ. სულაქველიძე, რა მოხდა? (ვინ მოაწყო და როგორ აგვისტოს აჯანყება),1927, გვ. 72.

საქართველოს ეროვნული არქივი

ძნელია ზუსტად იმის თქმა, თუ ვინ რა სახის დახმარებას აღმოუჩენდა საქართველოს 1924 წლის აჯანყების წარმატების შემთხვევაში, მაგრამ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოთი დაინტერესება ევროპაში ნამდვილად არსებობდა.

ამდენად, საქართველოში უკმაყოფილოთა არმიის თანდათანობითი ზრდა თავისთავად აყენებდა დღის წესრიგში ბრძოლის დარჩენილი ერთადერთი საშუალების გამოყენებას, რასაც შეიარაღებული აჯანყება ჰქვია. ამასთან, არსებული საერთო უკმაყოფილობის ფონზე ძალზე დიდი იყო კვლავაც სტიქიური გამოსვლების ალბათობა, რაც თავისთავად, დიდი მსხვერპლის მომტანი იქნებოდა. ამიტომაც ანტისაბჭოთა აჯანყება უნდა მომხდარიყო კავკასიის მასშტაბით და ის საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო თუ საშინაო მდგომარეობის გართულებას უნდა დამთხვეოდა.

ერთ-ერთ ფრანგულ ლექსიკონში ტერმინი ავანტიურა შემდეგნაირადაა განმარტებული: იმპულსურობა, ეგოცენტრიზმი, ინტრიგების ხლართვა, პატივმოყვარეობა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „ავანტიურისტი არის პიროვნება, რომელიც მზადაა სარგებლობა ნახოს რისკის ან უპატიოსნო არაკეთილსინდისიერი მეთოდებით“.[215]

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრეტილების შესახებ არქივებში დაცულ დოკუმენტებში ვხვდებით მინაწერებს: დახვრეტის წინ მათი მხრიდან თხოვნა არ ყოფილა!

ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აჯანყების ხელმძღვანელები და მონაწილეები შეგნებულად მიდიოდნენ რისკზე, თავი გადადებული ჰქონდათ მიზნის მისაღწევად და აქ რაიმე გამორჩენაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ჩეკისტი მანუჩარ (კაკო) შელია, რომელიც 1956 წელს ბერად აღიკვეცა მოსკოვის მირქმის მონასტერში მამა ალექსის სახელით, თავის მემუარებში წერდა: „ჩემს მეხსიერებაში წამოტივტივდა იმ ვაჟკაცთა სახეები, რომლებიც სიცოცხლეს სწირავდნენ „წითელ აგრესიასთან“ ბრძოლას და არასოდეს უფიქრიათ ქვეყნის დატოვება. მართალია, ჩვენი შეხედულებანი რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ცხოვრებამ მტრები გაგვხადა, მაგრამ მე მაინც დიდი მოწიწებით მინდა მოვიხსენიო არასრული სია იმ ქართველი ვაჟკაცების, ვინც ბოლომდე იბრძოდა, ამ სიტყვის სრული გაგებით და საკუთარი სიკვდილით უკვდავყო საკუთარი სახელი... სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი (მუხრანელი - **ლ. ჯ.**), ივანე ნარიკელაძე, კოსტა (კონსტანტინე - **ლ. ჯ.**) აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გრიგოლ წულუკიძე, ნოე ხომერიკი, გოგი (გიორგი - **ლ. ჯ.**) ფაღავა, ნიკოლოზ ზანდუკელი, ვალიკო ჯუღელი, გრიშა აბაშიძე, ნიკოლოზ წერეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი... ეს არის არასრული სია იმ პატრიოტებისა, რომელნიც დაამშვენებდნენ ნებისმიერ ქვეყანას, ნებისმიერ დროს“.[216]

---

[215] Oxford ADVANCED LEARNERS DICTIONARY of current English, AS Hornry. sixth edition. Edited by Sally Webmeier, phonetics editor Michael Ashhy, oxford univers, p. 5.

[216] მანუჩარ (კაკო) შელია, „მემუარები“, მასალა მოამზადა დავით გელაშვილმა.- „დილის გაზეთი“, 1999, N152, 7 ივლისი, გვ. 17.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნიშანდობლივია ჩეკისტების მიერ დაპატიმრებული ვალიკო ჯუღელის წინადადება: დამალევინეთ წამალი, რომელიც სამი დღის შემდეგ სიცოცხლეს მომისწრაფავს. ამ სამ დღეში კი გავაფრთხილებ ჩვენებს, რომ ხელი აიღონ აჯანყებაზე, რადგან თქვენ აჯანყების შესახებ გცოდნიათო. ამაზე მან უარი მიიღო.[217]

აჯანყების დღეებში აჭარაში, სოფ. ღორჯომში, მოხდა ასეთი ფაქტი: წითელარმიელთა მეთაურმა, ბასოვმა, ადგილობრივ მოსახლეობას აჯანყებულების გაცემა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სოფლის გადაწვით იმუქრებოდა. მიუხედავად ამისა, ხალხმა აჯანყებულები არ გასცა. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, სოფელს განადგურების რეალური საფრთხე დაემუქრა. ამ დროს აჯანყებულები: მემედ გაბაიძე, ჰასან მეკეიძე და სხვები წითელარმიელებს თვითონ ჩაბარდნენ. ბასოვის ბრძანებით ისინი იქვე, ხალხის თვალწინ ჯერ სასტიკად გაროზგეს, შემდეგ კი დახვრიტეს.[218]

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებს ქართველი ერი წინასწარგანზრახულად მიჰყავდათ სასაკლაოსაკენ და მათ თავიანთი ვიწრო, პარტიული ან პირადული ინტერესებისათვის იყენებდნენ და, შესაბამისად, ერს გენოციდის საშიშროებას უმზადებდნენ, მაშინ, ცხადია, ისინი ნამდვილი „ავანტიურისტები“ და დამნაშავეები ყოფილან. მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე არ იყო. 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებს, შესაძლოა რიგ შემთხვევაში რეალობის გრძნობა ღალატობდათ და საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას სრულად ვერ აანალიზებდნენ, მაგრამ რაც მთავარია, ისინი საქართველოს გასათავისუფლებლად თავგანწირვით იბრძოდნენ. არაერთი მათგანი ხომ ამ აჯანყებას შეეწირა კიდეც და დღეს მათი საფლავებიც კი უცნობია.

1926 წლის სექტემბერში საფრანგეთის რკინიგზის მუშათა დელეგაციის წევრები მეტეხის საპყრობილეში მყოფ 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. მათ პოლიტიკურ პატიმრებს ჰკითხეს: ამართლებდნენ თუ არა ისინი 1924 წლის აჯანყებას? ამაზე მათ უპასუხეს, რომ ისინი კვლავ ძველ პოზიციაზე რჩებოდნენ.[219]

ტერმინი „ავანტიურა“ საბჭოთა ლიდერების მიერ შემოგდებული სატყუარა რომ იყო, ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის, კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილის მიერ სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენება. ამაზე ჩვენ სათანადო ადგილას უკვე ვისაუბრეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი ჩეკისტებთან საუბარში თვითონვე აცხადებდა, რომ დეკლარაციის შედგენას ის არ უკავშირებდა მისი გადარჩენის საკითხს. ანუ კ. ანდრონიკაშვილმა ეს ნაბიჯი გადადგა არა საკუთარი თავის, არამედ თანამებრძოლთა გადასარჩენად.

[217] გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1990, N51, 21 დეკემბერი, გვ. 16.
[218] ოთარ გოგოლიშვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში, ბათუმი, 2000, გვ. 66.
[219] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 512.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამდენად, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ დასახვრეტად გამზადებული აჯანყების მეთაურები ფიქრობენ არა თავიანთი ტყავის გადარჩენაზე, არამედ დანარჩენ აჯანყებულებზე, რომლებიც ამ დროისათვის კვლავ აგრძელებდნენ წინააღმდეგობას. ცხადია, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების მხრიდან აჯანყების „ავანტიურად“ მონათვლა საკუთარ პრინციპებზე უარის თქმას ნიშნავდა, მაგრამ ამ ნაბიჯით მათ მრავალი ქართველის სიცოცხლე გადაარჩინეს.

„ავანტიურის სქემის“ მომხრეები, 1924 წლის აჯანყების შეფასებისას, ერთ-ერთ არგუმენტად ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის იზოლატორიდან ვალიკო ჯუღელის მიერ გამოგზავნილ წერილებს იშველიებენ, რომელშიც ვალიკო ჯუღელი თავის თანამებრძოლებს მოუწოდებდა ხელი აეღოთ აჯანყებაზე, რადგან, მისი თქმით, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში და საქართველოს საგანგებო კომისიაში აჯანყების შესახებ ყველაფერი იცოდნენ.[220]

ამის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ადრე საგანგებო კომისიიდან ანალოგიური შინაარსის წერილები გიორგი წინამძღვრიშვილისგან და გიორგი (გოგიტა) ფაღავასგანაც მიიღო. განსხვავება მხოლოდ წერილის კატეგორიულობაში იყო. დამკომმა მიიღო გადაწყვეტილება ვ. ჯუღელთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა და მის მიერ საგანგებო კომისიიდან გამოგზავნილი წერილები უკან გაუგზავნა.[221]

ამასთან, უნდა ითქვას, რომ აჯანყების თარიღის რამდენჯერმე გადადებამ რეპრესიები მაინც ვერ შეანელა.

1924 წლის აჯანყების საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაგეგმილად მიჩნევა იმთავითვე უნდა გამოირიცხოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის მასიურ ხასიათს ვერ მიიღებდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, ესტატე ლატარიას მიერ სასამართლოზე გაკეთებული განცხადება: „როცა სამეგრელოში ჩავედი ასეთი სურათი იყო: მთელი ხალხი რაღაც მოლოდინში იყო, ყველა ამბობდა, რომ დღეს, ხვალ რამე მოხდებაო“.[222]

მართალია, 1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ საქართველოს საგანგებო კომისია და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია საქმის კურსში იყვნენ (აგენტ-ინფორმატორების მეშვეობით), მაგრამ აჯანყების ხელმძღვანელების მხრიდან „ხალხში მუშაობა“, სრული კონსპირაციის დაცვით, ცხადია, შეუძლებელი იყო.

1924 წლის აჯანყება, რომ ქართველი ერის დაკვეთილი იყო, ამაზე ნათლად მეტყველებს აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, შალვა ამირეჯიბის მოგონება.

---

[220] ვალიკო ჯუღელი, ღია წერილი ყველა ამხანაგებისა და ყოფილ სახალხო გვარდიელებისადმი.– გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №196, 29 აგვისტო, გვ. 3.

[221] სოლომონ ზალდასტანიშვილი, 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1989, გვ. 30-31.

[222] ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 514-515.

საქართველოს ეროვნული არქივი

„...აჯანყების დღეების შემდეგ მე ისევ ტფილისში ჩავედი და დავრჩი იქ ორ თვემდის. ამ ხნის განმავლობაში მე ვიყავი ბევრ სახლში, სამჯერ ისეთ სახლებშიაც, სადაც დახვრეტილები ჰყავდათ, ვნახე სხვადასხვა პირნიც, მაგრამ იქ საყვედური, ან რომ აჯანყება ვიღაცის პროვოკაცია იყო... მე არ გამიგონია. ყველას ესმოდა რა მოხდა და ყველა მოწიწებით ფიქრობდა მასზედ. ყველას ესმოდა, რომ აგვისტოს აჯანყება ის კარია, რომლითაც ქართველი ერი თავის დამოუკიდებლობაში უნდა შევიდეს“.[223]

1924 წლის შემოდგომაზე საქართველოში გერმანელი პროფესორი ერიხ ობსტი იმყოფებოდა. მოგვიანებით, ე. ობსტმა გერმანიაში, გერმანულ ჟურნალ „ცაიტ შრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ“-ში, საქართველოს შესახებ პატარა წერილი გამოაქვეყნა. ე. ობსტი 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ თბილისში არსებულ სიტუაციას შემდეგნაირად აღწერდა:

„იმ დროს, როდესაც ჩვენ თბილისს მივედით, იქ იყო გაბატონებული ღრმა გლოვა, განსაკუთრებით ქალაქის ქართულ ნაწილში. ბევრი დედაკაცი მიმოდიოდა შავ სამოსელში ჩაცმული და მათი სახე მძიმე, მძიმე მწუხარებას ამჟღავნებდა. მამაკაცთა შორის შავი ნიშანი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ისინი ამ გლოვის ნიშანს ატარებდნენ დიდი სიფრთხილით: ეშინოდათ, ამით საეჭვო პირად არ ჩამთვალონო.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, მას რომ წევრი არ დაჰკლებოდეს და გლოვაში არ ყოფილიყოს.

გაუგონარი მძვინვარებით მოსპეს აჯანყება. ოფიციალური სტატისტიკა თუმცა აცხადებს, რამდენიმე ასი კაცი სამხედრო სასამართლოს განაჩენით დაიხვრიტაო, მაგრამ ვიღას აინტერესებს ეს რიცხვი?.. ნამდვილი მსხვერპლი ათასობით ითვლება. ისინი დახვრიტეს გაუსამართლებლად, ხშირად იმ შემთხვევაშიც, როცა დაბეჯითებით იცოდნენ, რომ ისინი აჯანყებაში სრულებით არ მონაწილეობდნენ... რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ 1924 წელს... მომხდარი აჯანყება იყო უმთავრესად ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, არა მარტო საბჭოთა სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული...[224]

ბუნებრივად ისმის კითხვა: იყო თუ არა 1924 წლის აჯანყება მასობრივი, სახალხო, საერთო-ეროვნული?

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბესარიონ ლომინაძე 1924 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საიდუმლოდ წერდა, რომ 1924 წლის აჯანყებაში ათასობით გლეხი მონაწილეობდა და მან ზოგან მთელი მაზრები მოიცვა, მაგალითად, გურიასა და სამეგრელოშიო.[225]

---

[223] შალვა ამირეჯიბი, წიგნი მეორე, თბილისი, 1998, გვ. 165.

[224] ერიხ ობსტი, საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი.- ჟურნალი „ახალი დროება“, 1999, N4, ივნისი-ივლისი, გვ. 35.

[225] ბ. ლომინაძის მოხსენებითი ბარათი.- ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, N3, გვ. 40.

საქართველოს ეროვნული არქივი

ბესარიონ ლომინაძე მიხეილ კახიანისადმი გაგზავნილ წერილში 1924 წლის აჯანყებას მასობრივს უწოდებდა და აცხადებდა: „... ეს აჯანყება არ ყოფილა მხოლოდ მენშევიკებს პლიუს აზნაურებისა და თავადების გამოსვლა. მას თითქმის მთელი ინტელიგენცია თანაუგრძნობდა. ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი (სოფლის მასწავლებლები) მასში უშუალოდ მონაწილეობდა, ხოლო ზოგიერთ მაზრაში მენშევიკებთან, აზნაურებთან, ოფიცრებთან, მღვდლებთან, ვაჭრებთან და ინტელიგენციასთან ერთად აჯანყებაში გლეხობაც მონაწილეობდა...“[226]

მართალია, 1924 წლის აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოში ისეთი მასიური არ ყოფილა, როგორც დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამას სხვა მიზეზები ჰქონდა.

აჯანყების მასშტაბმა აიძულა საბჭოთა ხელისუფლება დაშვებულ შეცდომებზე დაფიქრებულიყო. გარდა ამისა, აჯანყებამ გარკვეული უხერხულობა ხელისუფლებას საერთაშორისო არენაზეც შეუქმნა.

ამდენად, მართალია საიდუმლოდ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო სიმართლე ეღიარებინა.

1924 წლის აჯანყება ტექნიკური თვალსაზრისით ბოლომდე მომზადებულად ვერ ჩაითვლება, რადგან აჯანყების პროცესში კარგად გამოჩნდა საბრძოლო საშუალებების ნაკლებობა, მაგრამ ფინანსების სიმწირის პირობებში ეს არც არის გასაკვირი. ან როგორ უნდა მოეხდინათ აჯანყებულებს საჭირო რაოდენობის იარაღის შესყიდვა? ასეთ შემთხვევაში აჯანყების მეთაურებს აქცენტი საბჭოთა ხელისუფლების არსენალის ხელში ჩაგდებაზე ჰქონდათ გაკეთებული და გარკვეულწილად ეს ამოცანა შეასრულეს კიდეც.

რაც შეეხება სამხედრო თვალსაზრისით აჯანყების მომზადებას, შეიძლება ითქვას, რომ აქ აჯანყების სამხედრო მეთაურებს სერიოზული სირთულეები ჰქონდათ. აჯანყების თარიღის რამდენჯერმე შეცვლამ და საბჭოთა ხელისუფლების კონტრღონისძიებებმა (თბილისის გამაგრება და სხვა) ისინი იძულებული გახადა გეგმებიც შეეცვალათ, რამაც აჯანყებას გარკვეული დაღი დაასვა. მიუხედავად ამისა, კავკასიის არმიის დივიზიის უფროსი ა. იანოვსკი, მოხსენებით ბარათში, (ის აჯანყებულების წინააღმდეგ რუსული წითელი არმიის ოპერაციებს დასავლეთ საქართველოში ხელმძღვანელობდა) აჯანყებულთა რაზმების მოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა.[227]

განვიხილოთ 1924 წლის აჯანყების გეოგრაფია. 1924 წლის აჯანყებაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (სომხები, აზერბაიჯანლები, რუსები და სხვები) მასიურად არ მონაწილეობდნენ. ამის მიზეზი ეთნიკური უმცირესობების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ქართველების ინტერესების შელახვის ხარჯზე საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობის წარმო-

[226] ბ. ლომინაძის პირადი წერილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანისადმი (1924 წ. შემოდგომა).- ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, N3, გვ. 40.

[227] მალხაზ მაცაბერიძე, აჯანყებულთა ტაქტიკა 1924 წელს დასავლეთ საქართველოში.- ჟურნალი „მხედარი“, 1991, N2, გვ. 51-54.

საქართველოს ეროვნული არქივი

მადგენლებმა ხელი კარგად მოითბეს (მაგალითად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და სხვა).

1924 წლის აჯანყებას ადგილი ჰქონდა შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, აფხაზეთი (მხოლოდ ორ რაიონში), აჭარაში (რამდენიმე სოფელში), შიდა ქართლში, კახეთში. მართალია აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყება ისეთი მასშტაბური არ ყოფილა როგორც დასავლეთ საქართველოში, თუმცა აქ აჯანყებამ მთელ რიგ ადგილებში იფეთქა.

როგორი იყო აჯანყებაში მონაწილეთა სოციალური კუთვნილება? აჯანყებაში მონაწილეობდნენ: ყოფილი თავად-აზნაურები, სასულიერო პირები, ყოფილი ოფიცრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები (მასწავლებლები), ვაჭრები და გლეხები. ანუ აჯანყებაში ჩართული იყვნენ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები.

ისმის კითხვა, ჰყავდათ თუ არა აჯანყებულებს მოკავშირე საქართველოს ფარგლებს გარეთ?

აჯანყება კავკასიის მასშტაბით უნდა წარმართულიყო, ამ მიზნით მოლაპარაკება მიმდინარეობდა სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთან. სომხებმა აჯანყებაში მონაწილეობაზე თავიდანვე უარი თქვეს. უფრო ნაყოფიერი გამოდგა მუშაობა აზერბაიჯანელებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთან. თუმცა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა ის პირები, ვინც შუამავლის როლს ასრულებდნენ ამ თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აჯანყებამ მხოლოდ საქართველო მოიცვა.

ქართველი პოლიტიკოსები ევროპის მასშტაბით მუშაობდნენ და ცდილობდნენ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას. ამ მიზნით ისინი ევროპელ პოლიტიკოსებს ხვდებოდნენ და გარკვეულ თანაგრძნობასაც პოულობდნენ. ფრანგი სოციალისტი რენოდელი ირაკლი წერეთელს წერდა, რომ ფრანგი სოციალისტები საქართველოს საკითხში ჩარევას შეეცდებოდნენ. ქართველ პოლიტიკოსებს დახმარებას მეორე ინტერნაციონალის ლიდერებიც ჰპირდებოდნენ, რომ გავლენას მოახდენდნენ მათ მთავრობებზე. ასე რომ, აჯანყების წარმატების შემთხვევაში გარკვეული მოლოდინი ნამდვილად არსებობდა.

ბუნებრივად ისმის კითხვა, არსებობდა თუ არა აჯანყების წარმატების შესაძლებლობა?

საქართველოს საგანგებო კომისია და ამიერკავკასიის საგანგებო კომისია ფლობდნენ უტყუარ ინფორმაციას აჯანყების მზადების შესახებ, თუმცა აჯანყებულებმა, ცხადია, ეს ინფორმაცია სრულად არ იცოდნენ (მართალია ისინი ახერხებდნენ საგანგებო კომისიიდან პერიოდულად ინფორმაციის გამოტანას, თუმცა ეს ზღვაში წვეთი იყო). საქართველოში და კავკასიაში დისლოცირებული წითელი არმიის ნაწილების დამარცხება აჯანყებულებს იმ ხანად არ შეეძლოთ, ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჯანყებას წარმატების შანსი, სამწუხაროდ, არ ჰქონდა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ისტორიოგრაფიაში ორმაგი მიდგომა, ორმაგი სტანდარტი მიუღებელია. თუ ჩვენ 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს „ავანტიურისტებად“ და თვით აჯანყებას „ავანტიურად“ მოვნათლავთ იმის გამო, რომ მან დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, ან გამარჯვების შანსი მიზერული იყო, მაშინ ანალოგიური ტერმინით უნდა შევაფასოთ მთიულეთის 1804 წლის აჯანყება, კახეთის 1812-1813 წლების აჯანყება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და სხვა აჯანყებები. განა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კოხტასთავში შეკრებილ ქართველებს მაშინ მონღოლთა დამარცხება ხელეწიფებოდათ? ან ვინმეს შეუძლია ამტკიცოს, რომ 1832 წლის შეთქმულების აჯანყებაში გადაზრდის შემთხვევაში წარმატება გარანტირებული იყო?

საქართველოს ისტორია ხომ უძველესი დროიდან დღემდე ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის განუწყვეტელი, თავდადებული, ლამის გენეტიკურ მემკვიდრეობად ქცეული ბრძოლაა, რამაც ჩვენს ისტორიას ერთგვარად დრამატიზმის ელფერი მისცა. ასეთივე დრამატიზმის ელფერი დაჰკრავს 1924 წლის აჯანყებას.

ამდენად, 1924 წლის აჯანყება 1921 წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის კულმინაციას წარმოადგენდა. მართალია, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელები გადაჭარბებულად აფასებდნენ ევროპის როლს საქართველოსთან მიმართებაში, მაგრამ რაც მთავარია, ისინი საქართველოს გასათავისუფლებლად თავგანწირვით იბრძოდნენ. აქედან გამომდინარე, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების „ავანტიურისტებად“ და 1924 წლის აჯანყების „ავანტიურად“ მონათვლა ნამდვილად უსამართლობა იქნება. 1924 წლის აჯანყების მონაწილეები ისეთივე გმირები არიან საქართველოსი, როგორიც ცოტნე დადიანი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი და სხვები.

1924 წლის აჯანყებას შეიძლება მივუსადაგოთ სხვადასხვა ტერმინი, მათ შორის პოლიტიკური რომანტიზმი, თუმცა არავითარ შემთხვევაში ტერმინი „ავანტიურა“.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების თემატიკაზე
დაცული დისერტაციები

1. *გოგი ცხოვრებაძე,* ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბილისი, 1997;

2. *ლელა ეძგვერაძე,* 1924 წლის აჯანყების ასახვა ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1997;

3. *ედიშერ ნარიმანიძე,* ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში, თბილისი, 2000;

4. *ოთარ გოგოლიშვილი,* სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XX საუკუნის პირველ მესამედში, თბილისი, 2002;

5. *თენგიზ ენდელაძე,* საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.), თბილისი, 2003;

6. *ლევან ჯიქია,* 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2012;

7. *ირაკლი გიორგაძე,* ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (XX ს-ის 20-90-იან წლებში), თელავი, 2016.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სარჩევი

წინათქმა 5

საბჭოთა ისტორიოგრაფია 8

ემიგრანტული ქართული ისტორიოგრაფია 25

დასავლური ისტორიოგრაფია 38

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია 48

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებაში მონაწილე დახვრეტილთა
რაოდენობა და სინამდვილე 62

როგორ უნდა შეფასდეს 1924 წლის აჯანყება? 64

1924 წლის აჯანყების თემატიკაზე დაცული დისერტაციები 76

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი